# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 113 (915) | ოთხშაბათი, 22 ივნისი 1994 წელი. | ფასი 10000 კუპონი


საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი მოგიწვიოთ სოციალური განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც კოპენჰაგენში 1995 წლის 11-12 მარტს გაიმართება. გადაწყვიტა რა ამ ისტორიული კონფერენციის მოწვევა, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შეიმუშავა 8 ძირითადი პრობლემა, რომლებიც განხილული უნდა იყოს მოქმედების პროგრამასა და დეკლარაციაში. სახელმწიფოთა მეთაურებს და მთავრობებს მოუწოდებენ განიხილონ ეს პრობლემები უმაღლესი შეხვედრის დროს. ეს საკითხებია: სიღარიბის შემცირება და აღმოფხვრა, სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალური ინტეგრაციის გაძლიერება. აღნიშნული საჭირბოროტო საკითხები დგას მთავრობათა წინაშე. ვიმედოვნებ, რომ ამ უმაღლესი დონის შეხვედრაზე შევიმუშავებთ ახალ მიდგომებს და იმ საერთო ღირებულებებს, რომლებიც წარმართავენ ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკის და რომლებიც გავლენას მოახდენენ საზოგადოების მომავალ განვითარებაზე.

კოპენჰაგენში წარმოდგენილი სოციალური განვითარების პრობლემები გლობალური მნიშვნელობისაა. იმის მიუხედავად, რომ მატერიალური უსახსრობა და სოციალური უწესრიგობანი განსხვავებული ძალის ზეგავლენას ახდენენ სხვადასხვა საზოგადოებაზე, დღეს, როგორც არასდროს, ეროვნული საზღვრები ნაკლებად მნიშვნელოვანია.

დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოში სოციალური დაძაბულობისადმი ინერტულობამ შეიძლება მძიმე პოლიტიკურ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ზემოაღნიშნულის გარდა ეს შეხვედრა გაეროს ცდაა, რათა გზა გაუხსნას სტაბილურ და მშვიდობიან მსოფლიოს, სადაც ადამიანის უფლებების დაცვა ყველა ქვეყნის საერთო მიზანი უნდა იყოს. სოციალური განვითარება და სოციალური პროგრესი წარმოადგენს გლობალურ პრიორიტეტს, რომელიც მოითხოვს ყველა საზოგადო და კერძო, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო მონაწილეთა ერთობლივ ძალისხმევას.

აღნიშნული შეხვედრა იძლევა უნიკალურ შესაძლებლობებს ერთმანეთთან დავაკავშიროთ გაეროს მუშაობის ბევრი მიმართულება და წარმოვაჩინოთ მისი სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი ხედვა.

იმისათვის, რომ გაეროს ამ წამოწყებას წარმატება ჰქონდეს, აუცილებელია შეხვედრაში თქვენი მონაწილეობა, აგრეთვე უმაღლეს დონეზე მოსამზადებელ სამუშაოებში თქვენი მთავრობის მონაწილეობა.

მიიღეთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენდამი ჩემი ულრმესი პატივისცემა.

**ბუტროს-ბუტროს გალი.**

## ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებს

**საქართველოს** სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებს. მან მოკლე ინფორმაცია გააკეთა აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის შესახებ და აღნიშნა, რომ ურუსეთოდ შეუძლებელია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება. რაც შეეხება ლტოლვილების დაბრუნებას, როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, დადებული შეთანხმებებით განსაზღვრულია მათი დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე და არა მხოლოდ გალის რაიონში, როგორც ამას არაკეთილმოსურნენი აცხადებენ.

მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა დასვეს საკითხი მეცნიერებათა აკადემიისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ითქვა, რომ სახელმწიფომ უფრო მეტად უნდა იზრუნოს ქართველ მეცნიერთა სოციალური და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც აუცილებელია მათ შორის მუდმივი კავშირების არსებობა. მეცნიერებათა აკადემიაში მუშავდება პროგრამები, რომლებითაც, სამწუხაროდ, არავინ ინტერესდება, რაც უარყოფითად მოქმედებს სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლებზე, — აღინიშნა შეხვედრაზე. ითქვა ვალუტის უქონლობის შესახებაც, რაც ფაქტობრივად, თვითიზოლაციაში აქცევს ქართველ მეცნიერებს. სამეცნიერო დაწესებულების სავალუტო შემოსავლები უნდა გათავისუფლდეს გადასახადისაგან — ასეთი იყო გამომსვლელთა ერთსულოვანი აზრი. მათ აგრეთვე წამოაყენეს მოთხოვნა მეცნიერებათა აკადემიისთვის ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ.

შეხვედრის დასასრულს ქართველმა მეცნიერებმა მადლობა მოახსენეს სახელმწიფოს მეთაურს თანადგომისთვის და მხარდაჭერა აღუთქვეს მას რესპუბლიკის სასიკეთოდ საქმიანობაში.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო**

## საპარლამენტო უმრავლესობის განცხადება

**სამწუხაროდ,** კიდევ ერთხელ იძულებული ვართ დავაფიქსიროთ, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი კვლავ ცდილობს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაციას, რისთვისაც სულ ახალ-ახალ ხრიკებს მიმართავს.

ბოლო ხანს ისინი ცდილობენ პარლამენტის განსასჯელად გამოიტანონ ეგრეთ წოდებული „ხელისუფლების საკითხი", რომლის მიზანია უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების შეკვეცა და, ამგვარად, პირველ რიგში, აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების გეგმების ჩაშლა. ეს არ გამოუვიდათ მაშინ, როცა ცდილობდნენ თავს მოეხვიათ პარლამენტისათვის უშუალოდ ამ პროცესის ჩაშლა, ახლა კი სხვანაირად ცდილობენ ამის გაკეთებას. თავად რესპუბლიკის ბიუჯეტის განხილვაც გვიჩვენებს, რომ ზოგ პოლიტიკურ ძალას პარლამენტში ბიუჯეტის განხილვა აინტერესებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კი არა, არამედ როგორც მხოლოდ და მხოლოდ სამთავრობო კრიზისის გამომწვევი მექანიზმი. ამას ისიც ამტკიცებს, რომ პარლამენტის ზოგიერთ კომისიას საერთოდ არ განუხილავს ბიუჯეტის პროექტი და არც სერიოზულად უმუშავია მასზე.

რაც შეეხება ხელისუფლების საკითხს, მისი განხილვა ისედაც მოხდება ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვისას და ასეთი პროექტი, როგორც ვიცით, უკვე რამდენიმეა. საპარლამენტო უმრავლესობა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რა კონსტიტუციის მომზადებას, აქტიურად მუშაობს პროექტებზე და ემზადება ასეთი განხილვისათვის.

თუკი ოპოზიციას აქვს სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი, იგი უნდა გადაეცეს იურიდიულ კომისიას და მხოლოდ რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურით მოხდეს მისი განხილვა. მაგრამ ამ საკითხებზე დღეს მოუმზადებელი დისკუსიების გამართვას, რომლის მიზანია მხოლოდ და მხოლოდ მდგომარეობის დესტაბილიზაცია, აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის ჩაშლა, მივიჩნევთ, როგორც ახალი პროვოკაციის მცდელობას, რაშიც მონაწილეობას, ცხადია, არ მივიღებთ.

**თბილისი. 1994 წლის 21 ივნისი.**

## თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობა

**21 ივნისს** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ვარდენ ნადიბაიძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი, რომელსაც ახლდნენ ამერიკის სამხედრო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს მაღალი ჩინის წარმომადგენლები. შეხვედრას ესწრებოდა მთავარი შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ნოდარ თათარაშვილი.

ამერიკის ელჩმა ბატონმა კენტ ბრაუნმა საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარუდგინა დელეგაციის წევრები, გააცნო მათი ვიზიტის მიზეზიც, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ამერიკის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის დროს გამოთქმულ წინადადებათა რეალიზაციას ეხება.

თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ვარდენ ნადიბაიძემ მადლობა მოახსენა სტუმრებს მობრძანებისა და იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც ამერიკის მხარე იჩენს საქართველოსადმი, მისი შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისადმი და აღნიშნა, რომ ქართველ და ამერიკელ სამხედროთა ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

## ექსპედიცია თურქეთში გაემგზავრა

**ახალგაზრდა** მეცნიერთა, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ექსპედიცია გაემგზავრა თურქეთში. ორი კვირის მანძილზე ისინი გამოიკვლევენ ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლებს. ინსტიტუტის სპეციალისტთა მეორე კომპლექსური ექსპედიცია აქ მუშაობას შეუდგება ივლის-აგვისტოში. ექსპედიციის მიზანია შეისწავლოს არქიტექტურისა და ფერწერის ძეგლები, რომელთა გამოკვლევა ქართველმა მეცნიერებმა შარშან დაიწყეს.

## აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანა რეალობად იქცა

**პარლამენტის** 21 ივნისის სხდომის ანგარიშის მომზადების ჩვეული ტრადიცია საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტებმა შეგნებულად დაარღვიეს და მიზანშეწონილად ჩათვალეს მკითხველებისათვის შეეთავაზებინათ დილის სხდომის დასასრულს სახელმწიფოს მეთაურის — პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა, რადგან, დღეს არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი და საშური საქმე, ვიდრე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხი, ბუნებრივია, ამ ვითარებაში დიდ ინტერესს იწვევდა სახელმწიფოს მეთაურის სიტყვა, რომელიც ამ პრობლემას ეძღვნება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, თქვა: — ახლახან მქონდა სატელეფონო საუბარი რუსეთის თავდაცვის მინისტრთან პაველ გრაჩოვთან. როგორც მან გადმომცა, იქ გამართულ ფედერაციის საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსეთის ჯარების შონაწილეობით აფხაზეთში განხორციელდეს სამშვიდობო აქცია. თითქმის ორსაათიანი მწვავე დებატების შემდეგ დეპუტატთა მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებულებას. ეს კი ნიშნავს, რომ უკვე ორ-სამ დღეში აფხაზეთში დაიწყება სამშვიდობო პროცესების განხორციელება.

ამ მნიშვნელოვანმა ცნობამ იმედი გაგვიჩინა, რომ ახლა უკვე აფხაზეთში სამშვიდობო პროცესების დაწყება რეალობად იქცა. თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდება ათასობით დევნილი, გატანჯული ქართველი მათთან ერთად კი სხვა ეროვნების ადამიანებიც, რომლებიც მრავალი წელიწადი ცხოვრობდნენ საქართველოს ძირძველ აფხაზეთის მიწაზე.

სხდომაზე განიხილეს საქართველოს პარლამენტის აპარატის მომსახურე პერსონალის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი. როგორც ითქვა, ეს ცვლილებები საჭირო და აუცილებელია მუშაობის შემდგომი სრულყოფისთვის. თუმცა, პარლამენტარებს სხვადასხვა შენიშვნები და მოსაზრებებიც გაუჩნდათ. გადაწყდა, ამ საკითხს შენიშვნების გათვალის-

### პარლამენტის სხდომაზე

წინებით განსახილველზ შემდეგ სხდომაზე გამოიტანენ.

დღის წესრიგის მეორე საკითხი საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის მეორე კვარტალის რესპუბლიკურ ბიუჯეტს ეხებოდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — მეორე კვარტალის დასასრულს პარლამენტი განიხილავს მეორე კვარტალის ბიუჯეტს. თუმცა განხილვას ვერც დაარქმევ იმას, რაც სხდომაზე ხდებოდა.

მოკამათეთა აზრით, ფინანსთა მინისტრის დავით იაკობიძის გამოსვლა უფრო ინფორმაციული ხასიათისა იყო, ვიდრე მოხსენება ბიუჯეტის შესახებ. ფინანსთა მინისტრმა მეორე კვარტალში გაწეული და მესამის დასაწყისში მოსალოდნელი ხარჯებისთვის ეროვნული ბანკისაგან მოითხოვა 12 ტრილიონი კუპონის საკრედიტო ემისია, თუმცა რეალური ხარჯები 19 ტრილიონს შეადგენსო, დასძინა მან.

იმის გამო, რომ წარმოიქმნა დიდი დებიტორული დავალიანებები, მთავრობის მოთხოვნას კრედიტის შესახებ მხარი დაუჭირა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა გივი ჯილაურმაც.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ კოპალეიშვილმა აღნიშნა, რომ ამჟამად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება არის მთავრობას გაწეული ხარჯების ნაწილობრივი დაფარვისათვის მიეცეს კრედიტი, ამასთან, მან მოამზადოს კანონპროექტი წლის ბოლომდე ბიუჯეტის შესახებ.

— ვიდრე არ მოხდება ფასების ლიბერალიზაცია და შესაბამისობაში არ მოვა ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები, მანამ შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური გაჯანსაღება, — თქვა თავის გამოსვლაში პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა მწვავე კამათი.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტმა ანზორ ბურჯანაძემ, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა. გიორგი კვესიტაძემ.

სხდომაზე გამოვიდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

## ფედერაციის საბჭომ დადებითად გადაწყვიტა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის საკითხი

**როგორც რუსეთში საქართველოს საელჩოს პრესცენტრმა გვაცნობა, 21 ივნისს ფედერაციის საბჭოს სხდომაზე ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (შვიდმა თავი შეიკავა, შვიდმა — წინააღმდეგ მისცა ხმა) დადებითად გადაწყდა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის საკითხი.** სხდომაზე ამ საკითხის განხილვისას მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მეთაურის პოზიციას რუსეთის ჯარების სამშვიდობო მისიის შესახებ.

თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა აღნიშნა, რომ ფედერაციის საბჭოს ეს გადაწყვეტილება მისთვის ბრძანებაა მოქმედების დასაწყებად. და, მას შემდეგ, რაც გენერალ-პოლკოვნიკი კუზნეცოვი მოახსენებს ნაღმების გაუვნებელყოფის სამუშაოების შესახებ, დაიწყება ოპერაციის უშუალო განხორციელება.

რუსეთის სამშვიდობო ჯარების კონტინგენტის განლაგებისა და საინჟინრო სამუშაოების დამთავრებისათვის საჭიროა 3-5 დღე-ღამე.

სამშვიდობო ოპერაციის განსახორციელებლად გათვალისწინებულია სპეციალური დაჯგუფების შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც ნავარაუდევია შევიდეს 5 ბატალიონი 3 ათასი კაცის ოდენობით.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.**

## დღეს გაიმართება აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემის კომისიის სხდომა

**სოჭი,** 21 ივნისი (იტარ-ტასი-საქინფორმი). აფხაზეთში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პრობლემის ოთხმხრივმა კომისიის წევრებმა დღეს უნდა განიხილონ ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა რეგისტრაციის პროცედურა თავიანთ მორიგ სხდომაზე, რომელიც დაიწყება დღეს სოჭის სასტუმრო „ლაზურნაიაში".

ამ შეხვედრისათვის მზადების წინა დღე დაიწყეს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფებმა. წინა სხდომაზე, რომელიც 30 მაისს გაიმართა, მხარეები ვერ შეთანხმდნენ აღნიშნულ საკითხზე. როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტს აფხაზთა დელეგაციის მეთაურმა ლეონიდ ლაკერბაიამ უთხრა, უთანხმოება გამოწვეულია აფხაზთა მხარის იმ მოთხოვნით, რომ პირებმა, რომლებსაც დაბრუნება სურთ, წერილობითი გარანტია მისცენ, რომ ისინი დაიცავენ აფხაზეთის რესპუბლიკის კანონებს.

პროცედურულ საკითხთა გარდა, დღევანდელ სხდომაზე, როგორც ჩანს, ლაპარაკი იქნება იმათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, ვინც დაბრუნებას მოისურვებს.

## საქართველო საბანკო - ქვეყანა გახდება

**ერთიანი საბანკო სისტემის შექმნის პრობლემას მიეძღვნა თათბირი, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა რესპუბლიკის საფინანსო-საკრედიტო სფეროს, სახელმწიფო და კომერციული ბანკების მუშაკებთან.**

ასეთ დაწესებულებათა საერთო რიცხვი საქართველოში ფილიალებთან ერთად სადღეისოდ, როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა გივი ჯილაურმა თათბირზე განაცხადა, 470 შეადგენს. რაოდენობის თვალსაზრისით, უკვე დღეს უფლება გვექნებოდა საქართველოსადმის გვეწოდებინა საბანკო ქვეყანა, საქმის რეალური ვითარება რომ არა. ეს ვითარება კი, როგორც თათბირზე აღინიშნა, სავალალოა. აშკარაა სტრუქტურული არაერთგვაროვნება, არის ეგრეთ წოდებული სახელმწიფო-კომერციული ბანკების ჯგუფი, რომლებიც ქვეყანამ „მემკვიდრეობით მიიღო" საბჭოთა სპეციალიზებული ბანკების სისტემისაგან. მათ შეინარჩუნეს წინანდელი სამართლებრივი სტატუსი და ორგანიზაციული ფორმები, არა აქვთ საწესდებო ფონდი და იურიდიული თვალსაზრისით არც დამოუკიდებლები არიან. მათი ერთადერთი მესაკუთრე — სახელმწიფო, აქტიურად ერევა ოპერატიულ საქმიანობაში. კრედიტებს კი ხშირად იძლევიან მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით. ეროვნული ბანკის აზრით, ეს უწყებები უნდა გარდაიქმნან ღია სააქციო საზოგადოებათა ტიპის დაწესებულებებად, რომლებშიც სახელმწიფოს ექნება ერთ-ერთი რიგითი მესაკუთრის უფლება.

სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, რომელთა როლი დღითიდღე იზრდება. აქაც დაგროვდა უამრავი პრობლემა. დაბალია საწესდებო კაპიტალი (500-700 მილიონი კუპონის ოდენობით), სავალუტო ეკვივალენტით იგი არ აღემატება 630-880 ამერიკულ დოლარს, რაც სერიოზული ფინანსური ოპერაციების განხორციელების საშუალებას არ იძლევა. პრაქტიკაში კი ბანკებს აქვთ შესაძლებლობა მიიზიდონ მნიშვნელოვანი თანხები და დააბანდონ ისინი საკმაოდ სარისკო გარიგებებში.

როგორც თათბირზე ითქვა, გაუმართლებელი რისკი საქმიანობაში, ფანტასტიკური დეპოზიტური და პროცენტული განაკვეთები, საბანკო რისკის სტიმულირების მექანიზმების უქონლობა აოცებენ საქართველოში მყოფ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წევრებს.

„ბანსოცბანკის", „შემნახველი ბანკის", „ინდუსტრიაბანკის", „აგრობანკის" ხელმძღვანელები, სხვა სპეციალისტები გულახდილად უზიარებდნენ ერთმანეთს პროფესიულ პრობლემებს, რომლებიც აწუხებს მათ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ვითარების შესაცვლელად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სათანადო სამართლებრივი ბაზა, ურომლისოდაც ისეთი აუცილებელი ღონისძიებანი, როგორიც არის ფულადი მასის შემცირება, პროცენტული განაკვეთების შეხამება ინფლაციის ტემპთან, ბიუჯეტის დეფიციტის შეზღუდვა, „მცურავი" სავალუტო კურსის ფორმირება სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს.

თათბირის შედეგების შეჯამებისას ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ამგვარი შეხვედრები რეგულარული უნდა გახდეს. საქართველოში დაისახა სტაბილიზაციის ტენდენცია, — თქვა მან, — და ქვეყანამ უნდა იგრძნოს, რომ უდგება რეალურ გარდაქმნათა სტადია. სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო-საფინანსო სფეროს რეფორმას, ურომლისოდაც, როგორც მან თქვა, წარმოუდგენელია ეკონომიკური რეფორმა. ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და სხვა ფაქტორების გამო აქვს შანსი იქცეს საბანკო ქვეყნად. ამოცანა ის არის, რომ შევქმნათ საბანკო ინფრასტრუქტურა, საჭირო საკანონმდებლო ბაზა, დავაკანონოთ უკლებლივ ყველა საფინანსო დაწესებულების საქმიანობა, უზრუნველვყოთ ქვეყანაში ქართული კაპიტალის დაბრუნება.

დარწმუნებული ვარ, თქვა შევარდნაძემ, რომ ყოველივე ეს შესაძლებელი გახდება როგორც კი მოწესრიგდება რესპუბლიკის წინაშე მდგარი პოლიტიკური პრობლემები.

**რიმა შელია,**
**საქინფორმის კორ.**

**რედაქციაში უამრავი ხალხი მოდის. აბა, დღეს საქართველოში პრობლემას რა დალევს! ზოგს პირადული აწუხებს, ზოგს — საზოგადო, საქვეყნო. მართალია, ასეთები ცოტანი არიან, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, მაინც არიან. ისინი ქვეყნის ბედ-იღბალზე, მის მომავალზე ფიქრობენ, თავიანთ აზრებს, წინადადებებს გვთავაზობენ.**

**აგერ, რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროდან ორი მუშაკი გვეწვია, — საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი იოსებ ბარნაბიშვილი და საზმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე, კომერციისა და სამეურნეო დარგში, ვიცე-პოლკოვნიკი ტრისტან ხუციშვილი. ორივე გულისტკივილს გამოთქვამს ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში შექმნილი მწვავე კრიზისის გამო. საკუთარი კონცეფციაც კი შეუმუშავებიათ ამ კრიზისიდან თავის დასაღწევად.**



## ჯარი უნდა ჯარსა ჰგავდეს!

### თვალსაზრისი

**— თქვენივე თქმით, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მშენებლობა ახლა ჩაღდება, მაგრამ მას გზაზე უთვალავი დაბრკოლება ეღობება. პრობლემები წარმოშობილია ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობით. არმიას არ ყოფნის საკვები, ჩასაცმელი, საწვავი, მას საშუალება არა აქვს დაიქირავოს კვალიფიციური სამხედრო სპეციალისტები ინსტრუქტორებად. რაც ყველაზე სავალალოა, მის რიგებში თავს იყრის შემთხვევითი ხალხი, ასეთი არმია შორს ვერ წავა, თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს. გვითხარით კონკრეტულად: — თქვენ რა გამოსავალს ხედავთ? რა უნდა გავაკეთოთ ბრძოლისუნარიანი, ნამდვილი შეიარაღებული ძალების შესაქმნელად?**

**ი. ბარნაბიშვილი:** — დღეს ბევრი ცივილიზებული ქვეყანა, მათ შორის რუსეთიც გადადის პროფესიული არმიის შექმნაზე. ჩვენც უნდა გადავიდეთ ამ რელსებზე. და ეს უნდა გავაკეთოთ საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონის საფუძველზე, რომელიც ძალიან მალე უნდა მიიღოს საქართველოს პარლამენტმა.

**— რა უნდა იყოს ახალი კანონში საყოველთაო სამხედრო ბეგარის შესახებ? რას გვთავაზობთ პრაქტიკულად, ცხადია, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში?**

**ტ. ხუციშვილი:** — საქართველოს ყველა მოქალაქემ, უკლებლივ ყველა მოქალაქემ, ვინც ჯანმრთელია, ვარგისია სამხედრო საქმისათვის, აუცილებლად უნდა მოიხადოს სამხედრო ბეგარა. 18-დან 25-წლამდე ასაკის ახალგაზრდები ან ფიზიკურად იმსახურებენ არმიის რიგებში ან წავლენ ალტერნატიულ სამსახურში: ქარხნებში, ფაბრიკებში, სოფლის მეურნეობის სფეროში. იქ ისინი შექმნიან იმ პროდუქციას, რაც საჭირო და აუცილებელია არმიისათვის.

**— ასე შეიძლება ჯარში არავინ წავიდეს. ბევრს იოლად მოეჩვენება ალტერნატიული სამსახური და გული იქით გაუწევს. როგორღა შევქმნით არმიას?**

**ი. ბარნაბიშვილი:** — ამისი ნუ შეგვეშინდება. ჯერ ერთი, ალტერნატიული სამსახური იოლი არ იქნება, მეორეც, ჩვენ შევქმნით პროფესიონალურ არმიას, დავიქირავებთ ნაღდ მებრძოლებს, ნაღდ ჯარისკაცებს. ინგლისში მთლიანად დაქირავებული ჯარია, საფრანგეთშიც, ბელგიაშიც, ჰოლანდიაშიც, მაგრამ ამით მათ თავსატეხი არ გასჩენიათ, მშვენივრად ცხოვრობენ... ჩვენც მოვიწვევთ უცხოელ სპეციალისტებს, ინსტრუქტორებს. ცხადია, ვინც დღეს ქართულ ჯარში მსახურობს, ატესტაციის შემდეგ, იმასაც დავტოვებთ.

**— ხომ არ ჩაინავლება ამით პატრიოტიზმის გრძნობა? სამშობლოს სიყვარული? მიწის ყივილი? დაქირავებული ჯარი მაინც დაქირავებული ჯარია...**

**ი. ბარნაბიშვილი:** — რა გგონიათ, ამ დაქირავებულ ჯარში მთლად უცხოელები იქნებიან? აქ უმრავლესობა ქართველობა მოვა. თუ მატერიალურად დააკმაყოფილებ, თუ სოციალურ პირობებს გაუმჯობესებ, ვინ არ წამოვა ქართულ ჯარში... აქაურები კი არა, თუ ვინმე შემორჩა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სიხარულით დაბრუნდება სამშობლოში, ნათესავებში, ნაცნობ-მეგობრებში... ახლა ამის გაკეთება ძნელია. სიმბოლური ხელფასით, შიშველი ენთუზიაზმით არაფერი გამოვა. ამჟამად საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზებში მომსახურე რიგითი ჯარისკაცი 120-ჯერ მეტ ხელფასს იღებს, ვიდრე ქართულ არმიაში მომსახურე ოფიცერი. ძნელია კაცს, რომელსაც ოჯახი მშიერი ჰყავს, ხელში ავტომატი დააჭერინო... დღეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ბევრი პროფესიონალი სტოვებს და კომერციულ სტრუქტურებში გარბის...

**— მაინც რა ძალებით და რა სიმდიდრით უნდა შევინახოთ ეროვნული არმია ისე, რომ მას საქმე დასალხენად ჰქონდეს?**

**ი. ბარნაბიშვილი:** — საქართველოში ამჟამად 300 ათასი წვევამდელია. ამხელა არმიას ჩვენი პატარა ქვეყანა, ცხადია, ვერ შეინახავს. ჩვენთვის სავსებით საკმარისია 30-ათასიანი კარგად გაწვრთნილი ჯარი, ესე იგი, გასაწვევი რესურსის მხოლოდ 10 პროცენტი. საშუალება გვაქვს ერთი ახალგაზრდა ჯარში წავიყვანოთ, ცხრა კი ჩავაბათ არმიისათვის მატერიალური დოვლათის შექმნის საქმეში. უბრალო ანგარიშის საქმეა: — თუ ცხრა კაცი ერთი კაცისთვის იმუშავებს, ამ ერთს არაფერი გაუჭირდება...

**— კონკრეტულად, სად უნდა ვამუშაოთ ეს ახალგაზრდები?**

**ტ. ხუციშვილი:** — დიდ ქალაქებში ახალგაზრდები იმუშავებენ სამხედრო-საწარმოო კომპლექსის ქარხნებსა და ფაბრიკებში... თავდაცვის სამინისტროს ექნება დამხმარე მეურნეობები პირუტყვით, ბოსტნეულით, ხილით... აქაც დაგვჭირდება მუშახელი. ამის გარდა, ყველა რაიონში შეიძლება ისეთი სამსახურის გამონახვა, თუნდაც შრომითი რაზმების ჩამოყალიბება, სადაც ოჯახიდან მოუწყვეტლადაც კი შეიძლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნა. აქ არც პირადი საკარმიდამო ნაკვეთებია გამორიცხული. თუ სამხედრო ბეგარის საფასურს დააწესებთ, ეს საფასური ნებისმიერ წვევამდელს შეუძლია გადაიხადოს ნატურითაც, — რაც შეუძლია იმით, — ვთქვათ, ჩაგვაბაროს ხორცი, ყველი, რძე, კარტოფილი, ვაშლი... ეს ყველაფერი არმიის რაციონში წავა...

**— ვთქვათ საკვებისა და ტანსაცმლის პრობლემა გადავწყვიტეთ. შეიარაღება? შეიარაღებას რას ვუშვრებით?**

**ტ. ხუციშვილი:** — რახან ბეგარა მოაგვარებს საკვებისა და ტანსაცმლის პრობლემას, სახელმწიფოს დარჩება შეიარაღებაზე ზრუნვა. ეს უკვე მისი პრეროგატივაა.

**— როგორ მოხდება შესატანი თანხების ცენტრალიზაცია ან ნატურით შემოტანილი პროდუქტების შეგროვება? ვინ იკისრებს ამ მისიას, თავდაცვის სამინისტრო თუ სხვა ვინმე?**

**ტ. ხუციშვილი:** — თავდაცვის სამინისტროსთან უნდა შეიქმნას ბანკი სათანადო წესების დაცვით, ეროვნული ბანკის თანხმობით. იქიდან მოხდება თანხების მიზნობრივი ხარჯვა მხოლოდ პროფესიული, ეროვნული არმიისათვის. შეგროვილი პროდუქტები კი შევა თავდაცვის სამინისტროს ბაზებში. ცოცხალი პირუტყვი დამხმარე მეურნეობებში გაიგზავნება. ყოველივე ამას უხელმძღვანელებს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი. ეს საქმე მთლიანად უნდა მართოს ამ უწყებამ.

**— თქვენი კონცეფციით არმიას მეტისმეტად ხომ არ გავანებივრებთ? ჯარისკაცი ჯარისკაცი უნდა იყოს...**

**ი. ბარნაბიშვილი:** — კი ბატონო. ჯარისკაცი ჯარისკაცი უნდა იყოს, მაგრამ მშიერი ტომარა ფეხზე ვერ დადგება. დღეს ჩვენი ბიჭები ვერა ჭამენ, უძლურდებიან, ავადდებიან. ეს ისეთი ასაკის ბიჭები არიან, რომელთა საყელოსაც კი ხორცი და კარაქი სჭირდება. ეს ერთი. ახლა მეორეც. მე არ ვამბობ, რომ იმ ცხრა კაცის მთელი ნამუშევარი ერთს შევაჭამოთ. არმიას ჭამის გარდა კიდევ ბევრი რამ სჭირდება, ვთქვათ, ბინების მშენებლობა, დასასვენებელი სახლების აგება... ფული აქაც წავა. თუ რაიმე დარჩება, სახელმწიფო ბიუჯეტს შეემატება...

**— ესე იგი, თქვენი გაანგარიშებით ეროვნულ არმიას სახელმწიფო უმტკივნეულოდ, ხარჯების გამოუყოფლად შეინახავს. პირიქით, თანხები ქვეყნის ხაზინაშიც კი შევა?..**

**ი. ბარნაბიშვილი:** თუ კარგად ვიანგარიშებთ, თუ გონივრულად გავაკეთებთ, ასე იქნება. პარალელურად მეორე დიდი საქმეც გაკეთდება: რა დასამალია და, დღეს სამხედრო კომისარიატებს უჭირთ ქართულ არმიაში წვევამდელთა გაწვევა. ხშირად ძალისმიერ მეთოდებს მიმართავენ. ძალით წაყვანილ კაცს ოდნავ გაუჭირდება და... დეზერტირად იქცევა. ყველა დეზერტირის გასამართლება და ციხეში ჩასმაც შეუძლებელია. კანონი „საყოველთაო სამხედრო სამსახურის შესახებ" კარგად მოქმედებდა ტოტალიტარული რეჟიმის დროს. დემოკრატიულ ქვეყანაში მან თავისი დრო მოჭამა. აუცილებლად უნდა შეიცვალოს ეროვნული არმიის მშენებლობის პრინციპები, უნდა დავეყრდნოთ რეალურ ვითარებას და არა ჯოხის პოლიტიკას.

**— საქმეს, ალბათ, არც მარტოოდენ საკვები, ჩასაცმელი, იარაღი თუ ხელფასი გადაწყვეტს. კიდევ რჩება წმინდა ადამიანური თვისებები, ზნეობრივი ღირებულებები?**

**ტ. ხუციშვილი:** — ნამდვილად ასეა. გვჭირდება ჩვენი მებრძოლი სულის, რაინდული ხასიათის გამოწრთობა, ჩვენი ქვეყანა ისეთ გეოპოლიტიკურ ზონაში იმყოფება, ჩანს, კარგა ხანს არ მოგვასვენებენ, ამიტომ მჯერა, რომ ჩვენი ახალგაზრდები სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სპორტულ კომპლექსებში ჯანსაღ პიროვნებებად, სამშობლოსათვის თავდადებულ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან. ქართველები უცხო ქვეყნების არმიებში მამაცურად იბრძოდნენ. იმპერიებს ანაცვალებდნენ თავს, მათი საქმეები, მათი სულებიც დაგვეხმარება დისციპლინირებული, გაწვრთნილი, სრულყოფილი არმიის შექმნაში.

**— მაშ, რაღა დაგვრჩენია?**

**ი. ბარნაბიშვილი:** — ახლა საჭიროა ყურადღება მოგვაქციოს რესპუბლიკის პარლამენტმა. ცხადია, ჯერ ჩვენი წინადადებები და მოსაზრებები უნდა განიხილონ შესაბამისმა კომისიებმა. მერე კი ჩვენი თანდასწრებით იმსჯელოს რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ. ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი ცოტა საჩქაროა. მამული ნიღბ, ეროვნულ ჯარს ელის და ასეთი ჯარი იქნება. ჩვენ ეს გვჯერა!

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**

## მერვე სვეტი

### „იბერიის" ლენტიდან

### ფორმდება კონტრაქტები

**თბილისი.** კავკასიაში რუსეთის ჯარების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ ამჟამად ვოლგისპირეთისა და ლენინგრადის სამხედრო ოლქებში მიმდინარეობს ექვსთვიანი კონტრაქტების გაფორმება იმ სამხედრო მოსამსახურეებთან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ აფხაზეთის რეგიონში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებაში. კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა ჯარისკაცებისათვის თვეში 600.000 რუსული მანეთია, ოფიცრებისათვის კი — 1.000.000-დან 1.500.000 მანეთამდე.

### ითხოვს ფუნქციათა გამიჯვნას

**გალი.** რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა კონდრატიევმა განაცხადა, რომ აფხაზეთის რეგიონში ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული რუსეთის სამშვიდობო ჯარებისა და იმ საერთაშორისო დამკვირვებლების ფუნქციები, რომლებიც იმყოფებიან კონფლიქტის ზონაში.

### იცავდეს საქართველოს მთლიანობას

**ვაშინგტონი.** აშშ-ს ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ აშშ არ მიიღებს უშუალო მონაწილეობას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებაში, მაგრამ მზად არის ნაწილობრივ დააფინანსოს ეს ოპერაციები. ბ. კლინტონის ადმინისტრაციის განცხადებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ სამშვიდობო ოპერაცია უნდა ეყრდნობოდეს ორივე მხარის თანხმობას და უნდა იცავდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას.

### მხოლოდ პოლიტიკური გზით

**ცხინვალი.** მთლიანად გამოიცვალა ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების შემადგენლობა. თუ 1992 წლის ზაფხულში ამ რეგიონში იმყოფებოდა რუსეთის სადესანტო ჯარების 1000-მდე სამხედრო მოსამსახურე, ამჟამად სამშვიდობო ოპერაციას ასრულებს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მოტომსროლელთა ბატალიონის 528 ჯარისკაცი.

რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მათ არ შეუძლიათ მუდმივად იმყოფებოდნენ რეგიონში. ამიტომ ოსებმა და ქართველებმა დროულად უნდა გამონახონ საერთო ენა და პოლიტიკური გზით გადაწყვიტონ არსებული კონფლიქტი.

### თუ ვალს არ გადაიხდით

**თბილისი.** თურქმენეთის რესპუბლიკის საწვავისა და გაზის მინისტრმა ანატოლი სემიონოვმა განაცხადა, რომ თუ საქართველოს რესპუბლიკა უახლოეს დღეებში ვალს არ გადაუხდის ამ ქვეყანას ბუნებრივი აირის მიწოდებისათვის, თურქმენეთი იძულებული იქნება შეუწყვიტოს საქართველოს ბუნებრივი აირის მიწოდება.

განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ თურქმენეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ საფარმურად ნიაზოვსა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედ. შევარდნაძეს შორის შესანიშნავი ადამიანური ურთიერთობა დამყარდა, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და მათ შორის თურქმენეთის მოთმინებასაც — საქართველო ტრანზიტის ფულსაც კი ვერ იხდის. და ამიტომ ყაზახეთის, უზბეკეთის, რუსეთის ტერიტორიებზე საკუთარი გაზის ტრანზიტისათვის თავად თურქმენეთი იძულებულია იხადოს ვალუტა.

მიიჩნევ სომხეთის დედაქალაქ ერევანში მკვლელის ტყვიამ იმსხვერპლა გამოჩენილი სომეხი მწერალი ვარდგეს პეტროსიანი. კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილით შემცირდა ღირსეულ სომეხ მამულიშვილთა კოჰორტა. ვარდგეს პეტროსიანთან, ისევე როგორც არა ერთ სომეხ მწერალთან და საზოგადო მოღვაწეებთან, მე ხანგრძლივი გულითადი მეგობრობა მაკავშირებდა. ეს მეგობრობა იმანაც განამტკიცა, რომ მე და ბატონმა ვარდგესმა ერთი საშვილიშვილო საქმის გაკეთება განვიზრახეთ: მე, ჩემი მხრივ, უნდა დამეწერა წიგნი სომხეთზე, მას კი, თავის მხრივ, საქართველოზე, შემდეგ ეს წიგნები ჩვენ-ჩვენს ენებზე გვეთარგმნა და ერთსა და იმავე დროს სომხეთში და საქართველოში ერთი ყდის ქვეშ გამოგვეცა!

სამგლოვიარო წერილში, რომელიც აწ განსვენებულ ვარდგეს პეტროსიანს მივუძღვენი და რომელიც სხვა ასეთივე ხასიათის წერილებთან ერთად ქართველ მწერალთა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა, მე ვიგონებდი დაუვიწყარ 4 დღეს, სომხეთში რომ გავატარე: „აღარ მახსოვს, როდის მეძინა, როდის ვისვენებდი. ყველა დღე მოგზაურობაში და სომხეთის ისტორიისა და დღევანდელი დღის ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულებაში წაიღო.

სომეხი თანამოკალმენი, უპირველეს ყოვლისა მასპინძელი ვარდგეს პეტროსიანი, ყველგან თან მახლდნენ და თავიანთ სამშობლოს მაჩვენებდნენ. მოვინახულე თითქმის მთელი სომხეთი, ერთად შევხვდით გამოჩენილ სომეხ საზოგადო მოღვაწეებს, მათ შორის სრულიად სომხეთისა და ყოვლად სომეხთა კათალიკოს-პატრიარქ უწმიდეს ვაზგენს. ჩვენ შორის ერთი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდით, ერთ ბედში ვყოფით ჩვენი ხალხების სულიერ ერთობას ვანსახიერებდით და … გვეგონა, რომ სულის ეს ზეიმი სამუდამოდ გაგრძელდებოდა.

მე დავწერე განზრახული წიგნი, სახელად „ოთხი დღე ჰაოსის ქვეყანაში" დავარქვი. წიგნმა ბევრი … მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ მაგვარი შინაარსის წიგნები მეტად იშვიათად იწერება. ერებს შორის უფრო საუკუნეების განმავლობაში გვერდი-გვერდ მცხოვრები, უფრო ნეგატიურ პლანში ხედავენ ერთმანეთს და საერთო წარუმატებლობას ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში ხშირად ერთმანეთს აბრალებენ.

„ოთხ დღეში" პირიქითაა. იქ წინა პლანზეა წამოწეული ის, რაც გვაახლოებს, რაც ურთიერთგამამდიდრებელი და ურთიერთგამაერთიანებელი … საფუძვლად ედება და არა ის, რაც გვაშორებს, შუღლსა და ბოროტებას აღძრავს".

სამწუხაროდ, ძვირფასმა ვარდგესმა ვერ მოასწრო საპასუხო წიგნის დაწერა, ვერ მოესწრო ამ ორი წიგნის ერთი ყდის ქვეშ, სომხურ და ქართულ ენებზე გამოცემას და როგორ ვწუხვარ, რომ მწერალმა გრანტ ბაგრაზიანმა … ქართველ ხალხთან … სრულიად საპირისპირო გზა აირჩია, მას ბრალდებები წაუყენა და სამასხარაო სათაურით „Ложка Джанашия в бочке Грузии". ერევნის რუსულენოვან გაზეთში „Голос Армении" გამოაქვეყნა.

ხსენებული წერილი თბილისის … გაზეთმა … წესით გადმობეჭდა და მას ორი ქართველი ავტორის რევაზ ბარამიძისა და ჯანსულ ღვინჯილიას მეტად მოკრძალებული კომენტარები დაურთო.

„რატომ იმუქრება ბაგრაზიანი?" — სათაურშივე სვამენ კითხვას ქართველი ავტორები და სწორედ იმ კითხვით მინდა დავიწყო ეს ჩემი მცირე წერილი, რომლის დაწერაზე უარის თქმა არასგზით არ შემეძლო.

ინტელიგენტი კაცისათვის მუქარა, თანაც ქუჩის მაწანწალების შესაფერისი მუქარა, ერთი მიბრძანეთ, რა საკადრისია!? თუ საკამათოა რამე და რაიმე საკითხში ვერ შევთანხმებულვართ, ვიკამათოთ, ბურთი და მოედანი ფართოა, მაგრამ ვიკამათოთ ისე, რომ ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას, საუკუნეებს რომ ითვლის, ნუ დავაზიანებთ, ერთმანეთთან მისასვლელ გზებს ნუ ამოვქოლავთ, საერთო მტრებს, ორივეს ჭარბად რომ მოგვეპოვება, ნუ გავახარებთ, ნუ აღვაფრთოვანებთ!

ერევანში გამოქვეყნებული წერილის ავტორის გულისწყრომა გამოუწვევია ჟურნალისტ ვახტანგ ჯანაშიას, რომელიც თურმე მოსკოვში ცხოვრობს და, თუ პატივცემულ გრანტ ბაგრაზიანს დავუჯერებთ, იქაურ პრესაში ხშირად აქვეყნებს ცილისმწამებლურ წერილებს სომხების წინააღმდეგ.

არა მგონია-მეთქი, რომ ვთქვა,

ხმა ერის გასაგონად!

# ერის ინტერესი ერისკაცმა უნდა დაიცვას

ქართველ ინტელიგენტთა და საერთოდ ქართველთა შორის სომხეთისა და სომეხი ხალხის მტერი არავინ მეგულება-მეთქი, ვინ დამიჯერებს! ბატონ ვახტანგ ჯანაშიას არც ერთი პუბლიკაცია აქამდე ხელში არ მჭერია და მათ გარშემო ვერც კარგს ვიტყვი და ვერც ავს. სამაგიეროდ, კარგად ვიცნობ მეორე ჯანაშიას, რომელსაც ბატონი მწერალი ასეთივე გულისწყრომითა და პიროვნების დამამცირებელი, მისი ღვაწლის აბუჩად ამგდები ეპითეტებით იხსენიებს. ეს გახლავთ აწ განსვენებული სიმონ ჯანაშია, აკადემიკოსი, დიდი ქართველი ისტორიკოსი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი.

გარდა ამისა, მე ვიცი ისიც, რომ ვისაც მეცნიერთან და მისი შეხედულების მიმდევრებთან დავა და კამათი განუზრახავს, მან კეთილი უნდა ინებოს, აღნიშნული მეცნიერის შეხედულებებს თავისი მეცნიერული შეხედულებები დაუპირისპიროს და ლოგიკური არგუმენტაციით თავისი შეხედულების ჭეშმარიტება დაამტკიცოს.

სამწუხაროდ, ბატონი გრანტ ბაგრაზიანი ამ საყოველთაოდ მიღებულ მეცნიერულ პოლემიკისაგან, რაც კატორღულ შრომას, პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და ბევრი რამის ცოდნას მოითხოვს, ძალიან შორს დგას და წერილში თავისი ოპონენტების ქუჩური ლანძღვა-გინებით კმაყოფილდება. საკაცობრიო ცივილიზაციამ კამათის ეს ხერხი დიდი ხანია მოძველებულად ცნო და მას ერთხელ და სამუდამოდ ზურგი შეაქცია. კამათის ამ ხერხს დღეს მხოლოდ დროის მოთხოვნებს უიმედოდ ჩამორჩენილი, საკუთარ კუთხეებზე მაცქერალი სუბიექტები იყენებენ!

სამწუხარო უფრო ის გახლავთ, რომ „გოლოს არმენიიში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი მწერალი გრანტ ბაგრაზიანი საწინააღმდეგო თვალსაზრისზე მდგომ ცალკეულ პიროვნებათა ქუჩური ლანძღვა-გინებით და ლაფში ამოსვრით არ კმაყოფილდება. ის მასხარად იგდებს მთელ ხალხს, ვისაც ხსენებული ოპონენტები გენეტიკურად ეკუთვნიან, ამ შემთხვევაში მთელ ქართველ ხალხს, რომელმაც შეიძლება არც კი იცოდეს, სად რა დაიწერა და პატივცემული გაზეთის რედაქციის ხელისშეწყობით მას ათას დაუჯერებელ რამეს სწამებს და მიაწერს.

ეს კი მის სინდისზე იყოს, იტყვიან ხოლმე მსგავს შემთხვევაში. მეც ამავე სიამოვნებით გავიმეორებდი და წერილს აღარ დავწერდი, მაგრამ ვაითუ ბატონმა ბაგრაზიანმა იფიქროს, რომ სათქმელი არავის არაფერი აქვს და კიდევ უფრო უარესი ბრალდებები წამოგვიყენოს!

„მოდერნიზებული ჯანაშია, სახელად ვახტანგი და მისი მსგავსნი, — ამკობს ჟურნალისტს და მთელ მის სამშობლოს ბატონი მწერალი, — ამჟამად კვლავ შეუდგნენ წყლის ამღვრევას (სიტყვა ეხება ჩრდილოეთ თურქეთში შემავალ ტერიტორიებს, რომლებიც მას ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გამოურკვევლად ბრესტის ზავის თანახმად მიეკუთვნა). А в самой Грузии начался настоящий шабаш ведьм".

შეიძლება, ყოველივე ამის გამო სერიოზულმა კაცმა, სერიოზულად მოაზროვნე ადამიანმა რაიმე პოზიტიური თქვა? არა, რასაკვირველია! ეს პოლემიკის სწორედ ის ხერხია, რომელიც დიდი ხანია უარყო ცივილიზებულმა საზოგადოებამ და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მას არც არასოდეს დაუბრუნდება!

მე შორს გახლავართ აზრისაგან, თითქოს მწერლის ამ და სხვა მსგავს გამონათქვამებს სომხეთის ინტელექტუალური ელიტა და მთელი სომეხი ხალხი იზიარებს. ასეთი მკრეხელობისაგან ღმერთმა დამიფაროს! ზემოთ ციტირებული და აგრეთვე ის სიტყვები, რომელთა ციტირებას ქვემოთ მოვახდენ, ბატონ ბაგრაზიანის ინტელექტუალური დონის, მისი ესთეტიკური გემოვნების მაჩვენებელია და ცივილიზებულ სომეხ ხალხთან არავითარი კავშირ-ურთიერთობა არა აქვს!

მკითხველი, ალბათ, ამჩნევს, რომ მე საგანგებოდ არ ვეხები საკითხს, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ბატონ ბაგრაზიანს თავის სასარგებლოდ გადაწყვეტილი ჰგონია, თუმცა ისტორიის ანალებში ჩახედული ვარ, ცოტა რამ სომხეთის ისტორიისაც გამეგება და, შეიძლება ითქვას, კარგად ვიცი საქართველოს სამეფოს ამირსპასალარის ზაქარიასეული ლორეს თავგადასავალი. საგანგებოდ არ ვეხები იმიტომ, რომ ამ საკითხზე კომპეტენტურ მსჯელობას სპეციალისტი ისტორიკოსების საქმედ ვთვლი და რადგანაც მავანსა და მავანს ეს დღესავით ნათელი საქმე საკამათოდ ეჩვენება, დილეტანტურ ლობიოურობს რომ არ მოვყვეთ, ჯობს, ისევ მათ იკამათონ!

წერილის მეორე ნახევარში ავტორი ეხება სომეხ-ქართველთა ომს და რაღა თქმა უნდა, ყველა ბრალს, კერძოდ, ომის დაწყების ფაქტს, ქართულ მხარეს აკისრებს. ის უაპელაციოდ აცხადებს: «Полководцам» был дан приказ: аннексировать Лори!»

თქვენ, ალბათ, შენიშნეთ, პატივცემულო მკითხველო, რომ სიტყვა „პოლკოვოდცი" — „მხედართმთავრები", ჩვენმა ავტორმა ბრჭყალებში მოაქცია. ეს კი მართლაც მის სინდისზე იყოს!

ქვემოთ ვკითხულობთ: «Войска Грузии вторглись в Армению. Война! Однако авантюра окончилась бесславно для вояк из соседней республики. Плохо вооруженная армянская армия нашла в себе силы противостоять непрошенным гостям и не оставила меньшевистским горлопанам никаких надежд на успех. Армия противника драпанула до самого Навтлуга и „Коджор».

რას იტყვის ბატონი მწერალი და მასთან ერთად დაინტერესებული მკითხველიც, თუ გამოირკვევა, რომ რამდენი სიტყვაცაა ზემოთ დამოწმებულ ციტატაში, ორი იმდენი ტყუილია?

მაშ ქართული ჯარი შეჭრილა სომხეთში, შეჭრილა თავისი „მხედართმთავრების" ბრძანების თანახმად!

აქ ორი შესაძლებლიდან ერთია: წერილის ავტორმა ან არ იცის, წარმოდგენაც არა აქვს, როგორ იყო, ანდა იცის და განზრახ უბამს თვალს მიმნდობ მკითხველს, რათა ქართველთა მხარის ვერაგობა და გაუტანლობა დაამტკიცოს!

ერთი წუთით გვერდზე გადავდოთ ფაქტი, ვინ ვის დაესხა თავს და ვინ გააჩაღა ძმათამკვლელი ომი მეზობელი ქვეყნის მიწა-წყლის დასაუფლებლად, ეს დასკვნა შემდეგ გავაკეთოთ, ახლა კი მივყვეთ ამბების მსვლელობას!

როგორც მკითხველთათვის ცნობილია, ომი ქართველებსა და სომხებს შორის 1918 წლის 8 დეკემბერს დაიწყო, საქართველოს ჯარების საყოველთაო მობილიზაცია კი 10 დღის დაგვიანებით, 18 დეკემბერს გამოცხადდა!

თუ ღმერთი გწამთ, გაგონილა სადმე, სხვათა მიწების დაპყრობის მიზნით ჯერ ომი დაეწყოთ და ამ ომისათვის სამზადისი, კერძოდ, ჯარების მობილიზაცია, მთელი 10 დღის დაგვიანებით გამოეცხადებინოთ?

არა და რა მოხდა ამ 10 დღის განმავლობაში, რაც ჯარების საომრად შეკრებას დასჭირდა? ფრონტი საქართველოს დედაქალაქ თბილისს 60-80 კილომეტრით მოუახლოვდა!

რა მტკიცდება ამით? მტკიცდება ის, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას და არმიას არამცთუ სომხეთის საზღვარი არ გადაულახავს და მისთვის არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არ წაუყენებია, ის თავის საკუთარ ტერიტორიასაც ვერ იცავდა ხეირიანად ძალების უქმარისობის გამო და საშუალებას აძლევდა მოწინააღმდეგეს, მისი დედაქალაქისაკენ თითქმის შეუჩერებელი მარში განეხორციელებინა!

პა, როგორ მოგწონთ, ჯერჯერობით ჩანს სადმე, რომ საქართველოს ჯარებმა სომხეთის საზღვარი დაარღვიეს და სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც მის თუნდ ერთ გოჯა მიწას დაეპატრონენ?

მოხდა ომების ისტორიაში გაუგონარი რამ, რასაც სომხეთის არმიის მთავარსარდლობა ვერც კი ინატრებდა! ქართულმა სარდლობამ შემტევი მტრის წინაშე ფრონტი გააშიშვლა, მოხსნა ის მცირედიც, რითაც მოწინააღმდეგის შემოტევას ასე თუ ისე უმკლავდებოდა და ბატალიონები დედაქალაქში დაიბარა!

მიზეზი?

მიზეზი ის გახლავთ, რომ ომის დაწყების მეოთხე დღეს, 12 დეკემბერს თბილისში ალლუმით უნდა აღენიშნათ არსენალის აღების პირველი წლისთავი! უჯაროდ სამხედრო ალლუმი აბა როგორ გადაიხდება და აი, დანიშნულ დღეს, 12 დეკემბერს, დილის 10 საათზე, როგორც საზოგადოდ მიღებულია, რუსთაველის პროსპექტზე გამწკრივდა ჯარები, ქვეითი და ცხენოსანი, არტილერიითა და ჯავშანტექნიკითურთ. გარნიზონის ორკესტრმა დასცხო მეხვედრის მარში და მწყობრს თეთრ ცხენზე ამხედრებულმა მთავარსარდალმა ჩამოუარა. მქუხარე ვაშამ თბილისის ცა შეარყია, მოწინააღმდეგის აუხსნელი სიხულელით ფრთაშესხმული სომეხი მოიერიშეები კი, რადგან გაშიშვლებულ ფრონტზე არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ, წინ, საქართველოს სატახტო ქალაქისაკენ მოისწრაფოდნენ!

საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობამ თავისი უგუნურობით, სხვა სახელით მის საქციელს ვერ მონათლავ, მტერს გზა მისცა და საალლუმოდ გამოწვეული თავად საბანკეტო სუფრას მიუჯდა!

ყველაფერი ყველაფერი და, მიუდგომელმა კაცმა, წინ ვითომ სიმართლის დროშა რომ მიგიძღვის, როგორ უნდა დაიჯერო და შავით თეთრზე დაწერო, რომ ომისათვის სრულიად მოუმზადებელ მცირერიცხოვან ქართველ ჯარს, დიდი დაპყრობითი გეგმებიც რომ ჰქონოდა, სხვის მიწა-წყალზე შეჭრა და იქ ხოცვა-ჟლეტის გაჩაღება შეეძლო?! ის სომხურ აგრესიას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა და სანამ მთელი ქვეყანა ფეხზე არ დადგა, აგრესორის შეჩერება ვერ მოახერხა. ეს ღვთის გამარისხებელი ამბავი თბილისში ვერც კი დაიჯერეს. ათასი ურთიერთსაწინააღმდეგო ჭორი ვრცელდებოდა. პატივცემულ მწერალს ნუთუ არც ის მოეხსენება, რომ თბილისის მკვიდრი ვარპეტი ოვანეს თუმანიანი, ნათელი და უანგარო პიროვნება, საგონებელში იყო ჩავარდნილი. ეს ამბავი რომ მართალი გამოდგეს და სომხეთის ჯარი თბილისში შემოვიდეს, მთელი სომხობა ხომ სამუდამოდ შევრცხვებით, თავი სადღა გამოვაჩინოთ.

საბედნიეროდ, ხალხთა ძმობის დიდი მომღერლის შიში არ გამართლდა. სომხთა მოიერიშე ნაწილები თბილისში ვერ შემოვიდნენ. საქართველოში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. სარდლობა გონს მოეგო და მტერს გზა გადაულობა არა სადმე სომხეთში, არამედ შუაგულ საქართველოში. შულავერში, სადაც ერეკლე მეფის ჩამოსახლებული სომხები ცხოვრობდნენ, სადახლოსთან, აშაგსერალთან და მდინარე ხრამზე. მანამდე კი სანაინსა და ალავერდში სისხლი ზღვად დაიქცა. დაიწყო სომხური ბატალიონების დევნა მათ მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან. ქართულ სარდლობაში ფეხი მოიკიდა აზრმა, რომ ომი საზღვრის აღდგენით არ დამთავრებული იყო, ქართველ ჯარს შეტევა განეგრძო სომხეთის ტერიტორიაზე.

ინგლისისა და საფრანგეთის, ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომელთა ფარული მხარდაჭერის იმედით სომეხ სამხედრო პირთა ზედაფენამ ეს უაზრო ავანტიურა წამოიწყო, თბილისში საქართველოს მთავრობას მიმართეს და საომარი მოქმედების დაუყოვნებლივი შეწყვეტა მოითხოვეს, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც ქვემო ქართლის, იგივე საბარათიანოს, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჯერ ისევ სომხეთის შეიარაღებული ძალების ხელთ იყო.

31 დეკემბერს ფრონტებზე მებრძოლმა გენერლებმა მაზნიაშვილმა, წულუკიძემ, კვინიტაძემ, სუმბათაშვილმა, ინასაძემ და სხვებმა მიიღეს მთავრობის განკარგულება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ასე დარჩა სომხეთის ფარგლებში ალავერდი და სანაინი. ომი კი არა ერთ თვეს, როგორც გრანტ ბაგრაზიანი გვარწმუნებს, 23 დღეს გაგრძელდა.

ახლა მე თქვენ გეკითხებით, მიუდგომელო მკითხველო, რადგანაც ბატონ გრანტ ბაგრაზიანის მიუდგომლობის იმედი კარგა ხანია დავკარგე. ორი არმიის გააფთრებულ ბრძოლებში, 8 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე რომ გაგრძელდა, დასახლებული პუნქტები და გაბატონებული სიმაღლეები რამდენჯერმე ხელიდან ხელში რომ გადავიდა, სომხებზე არას ვიტყვი. თავიანთი საქმე მათ ჩემზე უკეთ იციან. ქართველთა მხრიდან მხოლოდ 1 კაცი დაიღუპებოდა, როგორც სტატიის ავტორი სერიოზულად გვარწმუნებს?

მეგობრულ აქტად ჩაითვლება მეზობელი ქვეყნის მოქალაქის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ომის მსხვერპლთა დაკრძალვისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო პროცესიაზე მხოლოდ ერთ კუბოში განისვენებდა ნამდვილი მიცვალებული, სხვა კუბოები კი ქვებით იყო ამოყორილი და მთელი ქართველი ხალხი, პროცესიის ათი ათასობით მონაწილე, მთელი მსოფლიოს წინაშე ამგვარ გაუგონარ სიყალბესა და თვალთმაქცობას ჩადიოდა?

რა დავარქვათ მწერალ გრანტ ბაგრაზიანის საქციელს? იმის მაგიერ, რომ სულმნათ წინამორბედ ოვანეს თუმანიანის მსგავსად წუხდეს, ეს რა უგუნურება ჩავიდინეთ, ძმათა სისხლი სულ ტყუილად რისთვის დავღვარეთ, რა გვიყვეს ამ პოლიტიკოსებმა, ისტორია როგორ გაგვიფუჭეს და დაგვილაქავეს, დაქცეული სისხლითაც არ კმაყოფილდება, გაუგონარ ცილისწამებებს თესავს ხალხში და იარებს აღარ აღუშუშებს. ჭკუით იყავით მანდ, ქართველებო, გააჩერეთ ეგ თქვენი ჯანაშიები, მკვდარიც და ცოცხალიც, თუ არა მე ვიცი, რაც გეკუთვნით და კუთვნილს კიდევაც მიიღებთ!

დაუჯერებელია?

იხილეთ მწერლის წერილიდან ამოწერილი მუქარები: «Во первых что-бы вы знали, с кем имеете дело и как должно(?) разговаривать с нами и во вторых, не мешает знать все-таки, кто есть кто?!. Не позволяйте своим Джанашия любого калибра лезть грязными руками в наши души».

ეს ხომ ქუჩიდან მოტანილი ყაჩაღობაა! ასე მხოლოდ ქუჩის ბიჭბუჭები ელაპარაკებიან და აშინებენ ერთმანეთს, თანაც ჰგონიათ, ანდა უნდათ, სხვები დაარწმუნონ, რომ მთელი უბნის სულისკვეთებას გამოხატავენ. როგორც სომხეთის გულითადი მეგობარი და კეთილის მსურველი, ვწუხვარ, რომ გაზეთმა „გოლოს არმენიიმ" ადგილი დაუთმო ამგვარ ხულიგნურ გამოხდომას მოძმე ერის წინააღმდეგ, ადგილი დაუთმო ბინძურ გულში დაგროვილ ჩირქსა და ბაღლამს, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს საერთო, სომხურ-ქართულ პრობლემებზე ემსჯელა, თავზე საყრელი რომ გაგვაჩნია, და ორი ხალხის წრფელი მეგობრობის კედელზე კიდევ ერთი აგური დაედო!

**რევაზ ჯაფარიძე.**
**12 ივნისი, 1994 წ.**

# ორიოდე სიტყვა ისევ ჟურნალ „ოგნის" შესახებ

## წერილი რედაქციას

I

თურქეთში საქართველოს სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა, ცნობილმა თურქოლოგმა და დიპლომატმა, პროფესორმა ნოდარ კომახიძემ ანკარაში გამგზავრების წინ გადმომცა ლაზურ-თურქულ ჟურნალ „ოგნის" („სჯანი ნენა") ორი ნომერი და მთხოვა დამეწერა თავშეკავებული ტონალობის სტატია, რომლის გამოქვეყნება შესაძლებელი იქნებოდა საქართველოშიც და თურქეთშიც, თვით ჟურნალ „ოგნიშიც" კი, რომ უშუალო გავლენა მოეხდინა მის მკითხველებზე.

საქართველოს ელჩი თურქეთში, მთელი საელჩო თბილისიდან ანკარაში არ გაემგზავრა, სანამ სტატია არ დაიწერა და არ … როგორც ბატონმა … გადმომცა, სტატია გარკვეული დიპლომატიური მისიის შესასრულებლად და თურქეთის ლაზებთან კეთილი დამოკიდებულების დასამყარებლად იყო საჭირო.

ჩემი სტატია „ლაზეთის პრობლემა და ლაზურ-თურქული ჟურნალი „ოგნი"" დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" მიმდინარე წლის 5-6 მაისს (№№ 74, 75).

მკითხველებისაგან მივიღე ასზე მეტი წერილი. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ მათ.

სტატიას მოჰყვა გამოხმაურება პრესაშიც. მათ შორის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" 1994 წლის 10 ივნისს (№ 23).

„ლიტერატურულ საქართველოში" ცნობილი მწერალი და მეცნიერი რამაზ სურმანიძე წერს: „გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ეს წერილები თავისი ორიგინალურობით, ჟურნალისტური ხელოვნებით, სიახლით და გაბედული დასკვნებით იმდენად საინტერესოა, რომ, როგორც იტყვიან, სულმოუთქმელად იკითხება".

ბატონი რამაზ სურმანიძე იქვე წერს: ქართველურ ტომთა შორის აჭარლები რატომ არ არიან მოხსენიებული აღნიშნულ წერილში.

მართალია, ყველა ქართველური ტომისა და მხარის დასახელება ამ სტატიის ჩანაფიქრში არ შედიოდა (იქ აჭარლების გარდა ბევრი სხვაც არ არის დასახელებული), რადგანაც ამას არ მოითხოვდა სტატიის თემატიკა და შინაგანი ლოგიკა, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც კარგი იქნებოდა აჭარის მოხსენიება ლაზეთზე დაწერილ სტატიაში. ლაზეთი და აჭარა ვინ გაჰყო ქართველის სულიერ სამყაროში, მის ეთნიკურ თვითშეგნებაში.

საქართველოს ბაჯაღლო თვალმარგალიტია აჭარა. ქედს ვიხრი ყველა ღირსეული აჭარლის წინაშე.

აჭარელი ისტორიულად საქართველოსთვის წამებული რაინდია.

მადლობას ვეუბნები კეთილი სურვილის გამო მწერალს, პუბლიცისტს, მეცნიერს ბატონ რამაზ სურმანიძეს. მისმა წერილმა საშუალება მომცა ერთხელ კიდევ გამომეხატა ჩემი სიყვარული აჭარის მიმართ.

II

ჩემს სტატიას ლაზებზე მოჰყვა მეორე გამოხმაურებაც. გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" მიმდინარე წლის 21 ივნისს გამოაქვეყნა ღვაწლმოსილი, ცნობილი მეცნიერების პროფესორ კორნელი დანელიას, პროფესორ გურამ თოფურიას, დოცენტ ვაჟა შენგელიას, დოცენტ ომარ მემიშიშის მეტად საყურადღებო და საინტერესო, მაღალ მეცნიერულ დონეზე დაწერილი სტატია „რა მიზნებს ისახავს ჟურნალი „ოგნი"?

როგორც ახლა ირკვევა, ეს წერილი ჩემი სტატიის დაწერამდე და გამოქვეყნებამდე ყოფილა შექმნილი. საოცარია, რატომ არ გამოიყენა ის თურქეთში საქართველოს საელჩომ?! მშვენიერი სტატიაა.

„დავას არ ვაპირებთ", — წერენ პატივცემული მეცნიერები. დავას მეც არ ვაპირებ, რადგანაც სადავო არაფერი გვაქვს, ჩვენ ერთ ქართულ პოზიციაზე ვდგავართ, ოღონდ განსხვავებულად გამოვხატავთ ჩვენს მოსაზრებებს.

მე დავუმატებ, ორიოდე თბილი სიტყვა ვუთხარი საქართველოს, დედასამშობლოს მოწყვეტილ, ტრაგიზმით აღსავსე ისტორიის მქონე ლაზებს, მაგრამ არა ჟურნალ „ოგნის" მესვეურებს. ჟურნალ „ოგნის" მეც მეტად მკაცრი შეფასება მივეცი. სავსებით ლოგიკურად და სამართლიანად ვუწოდე მათ „ზვიადისტები" და „არძინბისტები". საკადრისი პასუხი გავეცი ედუარდ შევარდნაძის მიმართ ჟურნალის ცილისმწამებლურ გამოხდომებს.

ჩემი სტატიის ერთ ქვეთავს ეწოდება „ზვიადისტები" და „არძინბისტები" გურჯისტანის ვილაიეთსა და ლაზისტანში?"

იქ არის საუბარი „ოგნის" ანტიქართული პოზიციის შესახებ.

მე სხვაგან ვწერდი იმავე სტატიაში ქართველური ტომის ლაზების გათურქების შოვინისტური პოლიტიკის შესახებ და დავძენდი: აი, სად არის, ქართველებო, „ოგნის" არაქართული მოტივების" სათავე-მეთქი.

იმავე სტატიაში სხვა ქვეთავში ნათქვამია: „ჟურნალ „ოგნის" ზოგიერთი დებულება ედუარდ შევარდნაძის შესახებ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ისინი ან ტენდენციურია, ან სუბიექტური, ან საერთოდ მოკლებული ყოველგვარ საფუძველს... იგრძნობა აფხაზ ექსტრემისტთა და ზვიადისტთა გავლენა".

მაშ ასე: „ოგნის" ანტიქართული პოზიციის ავტორებს ვუწოდეთ: „არძინბისტები", „ზვიადისტები", სეპარატისტები, ექსტრემისტები. თითოეული სიტყვა შეფასებაა.

მე მოვერიდე იმ ანტიქართული ფრაზების ტირაჟირებას, რომლებიც ჩვენს პატივცემულ მეცნიერებს მოჰყავთ თავიანთ სტატიაში. ჟურნალი „ოგნი" რამდენიმე ათას ცალად გამოდის.

„საქართველოს რესპუბლიკის" ტირაჟი კი რამდენიმე ასეულ ათასს შეადგენს. მათი ანტიქართული გამონათქვამების ციტირებით ნებსით თუ უნებლიეთ ხელი ხომ არ შევუწყვეთ „ოგნის" ანტიქართული, მათ შორის ანტიმეგრული და ანტისვანური იდეების უფრო ფართოდ გავრცელებას?!

არ ვიცი.

შეიძლება ასეა, შეიძლება არ არის ასე. იქნებ თქვენ ხართ მართალი და „ოგნისთან" ურთიერთობაში სწორედ მკაცრი ტონი სჯობს თავშეკავებულს, პროფესორ ნოდარ კომახიძისა არ იყოს, — დიპლომატიურს?!

ყოველ შემთხვევაში „ოგნიმ" ორივე ტიპის პასუხი მიიღო: დიპლომატიურიც და მაქსიმალისტურიც.

რომელიმე მათგანმა ხომ უნდა გაჭრას? ან ძველი აღთქმიდან მოსეს რჯულის პრინციპმა: „თვალი თვალისა წილ", ან ახალი აღთქმიდან ქრისტეს მცნებამ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი". ან ორივემ ერთად.

მაგრამ ვაი, თუ ვერც ერთმა ვერ გაჭრას, რამეთუ სხვაა მაჰმადის მცნება და ალაჰის რჯული!

მე მადლობას ვუხდი ცნობილ მეცნიერებს ჩემს წერილზე გამოხმაურებისა და მეტად საინტერესო სტატიის გამოქვეყნებისათვის.

ლაზეთი ჩვენი საერთო ტკივილია და ყველა ქართველმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ჟამთა სიავის გამო გაბზარული ეროვნული ცნობიერების გამთლიანებაში.

მთელი ჩემი სტატიის მთავარი პათოსი „ოგნის" ანტიქართული პოზიციის ქართული პოზიციით დაძლევაა, ოღონდ ტოლერანტობისა და კონსენსუსის გზით. ხიდის დაწვა იოლია, ხიდის აღდგენაა ძნელი. დიალოგი მტერთანაც საჭიროა. ლაზეთს მტრის ენაზე თუ ველაპარაკეთ, საბოლოოდ დავკარგავთ მას, როგორც ბევრი სხვა რამ დავკარგეთ.

განა დიდმა რუსთაველმა არ ბრძანა: გველსაც კი ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო.

მე ჩემს სტატიაში ვამხილე არა მხოლოდ გათურქებულ ლაზთა ანტიქართული პოზიცია, არამედ ზოგიერთი ქართველი მეცნიერის ანტილაზური პოზიციაც. საკითხი 50იან წლებს ეხება.

იქნებ არც იყო ჩემი საქმე შემი ქართველების — ლაზების და ჟურნალ „ოგნის" პრობლემებზე წერა?

ამას ჩემზე, რომაული წარმოშობის ძირძველ ქართველზე უკეთ, თქვენ, დალოცვილი ქართველები — ლაზები და მეგრელები თავად არ მოახერხებდით?!

განა თქვენ, მეგრელებმა ჩემზე უკეთ არ იცით, რომელ ენაზე ელაპარაკოთ ლაზებს?!

ამიტომ მე ამით ვამთავრებ ლაზებსა და მეგრელებზე საუბარს. და ერთხელ კიდევ მადლობას ვუხდი ოთხ პატივცემულ მეცნიერს ჩემ მიერ წამოწყებულ საუბარში მონაწილეობისათვის.

III

ვატყობ, სიტყვა გამიგრძელდა. მე ხომ სულ ორიოდე ფრაზის დაწერას ვაპირებდი. მაგრამ ერთ ანონიმურ ტელეფონის ზარს არ შემიძლია არ ვუპასუხო. ვინმე ანდუყაფარ სტკინწილაშვილმა დამირეკა, თქვენ ლაზი ხომ არა ხართო, რატომ გიყვართ ლაზებიო: თითქოს ეს დანაშაული იყოს.

ყველა ანდუყაფარის გასაგონად ვამბობ:

ალფენიძეები ქრისტეს დაბადების აქეთ, ოცი საუკუნეა ძირძველი ქართველები ვართ. ქრისტეს დაბადებამდე რომის იმპერიაში ვცხოვრობდით.

მსოფლიო ისტორიის მამა ჰეროდოტე თავის „ისტორიაში" ახსენებს **ალფენის**. გადმოცემის თანახმად ჩვენი გვარის ეპონიმს. სამასი სპარტელი საბერძნეთში სოფელ **ალფენის** მახლობლად ჩადის თავის გმირობას. ორი მათგანი ქალაქ **ალფენს** გადარჩა.

რომაული სამართლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ავტორია, ცნობილი იურისტი და პოეტი ალფენი. მისი კანონები ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს კანონთა კოდექსშიცაა შესული.

რომის იმპერატორის ავგუსტის (მისი სახელი ჰქვია აგვისტოს თვეს) ნაცვალი ციზალპიურ გალიაში იყო რომის იმპერიის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე **ალფენი**. მას მიუძღვნეს კლასიკური ნაწარმოებები გენიალურმა რომაელმა პოეტმა ვირგილიუსმა, რომაელმა პოეტებმა ჰორაციუსმა და კატულუსმა.

ერთ-ერთი ალფენი რომაელი მხედარი ებრძოდა თვით იმპერატორ სულას: იმ ალფენის შესახებ ცნობები მოიპოვება ციცერონის თხზულებებში.

ეს ცნობები ალფენის შესახებ მომაწოდა თავის დროზე პოეტ-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ. მან დამილოცა გზა ცხოვრებასა და მწერლობაში.

ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ერთი ალფეისძეა. და ის მოხსენიებულია მსოფლიო საღვთო წიგნში „ახალ აღთქმაში!" შეიძლება ამიტომაც იყვნენ ჩემი წინაპრები იმერეთში, გელათის სამონასტრო ყმები. იქ ერთად ცხოვრობდით ალფაიძეები და ალფენიძეები.

ვიმეორებ, მე შეიძლება არასოდეს არ დამეწერა ეს სტრიქონები, მაგრამ იმ ღვარძლიანი ანონიმური ტელეფონის ზარის პასუხად ვამბობ: დიახ, მე წარმოშობით რომაელი, მაგრამ ოცი საუკუნის ისტორიის მქონე ძირძველი ქართველი ვარ.

სრულიად საქართველოს ანდუყაფრებო!

იმისგებით ის მელაპარაკოს, ვინც დაამტკიცებს, რომ ჩემზე უძველესი ქართული გვარი აქვს და სულით ჩემზე დიდი ქართველია.

მე ყველა ქართული მხარე მიყვარს. მათ შორის ლაზეთიც.

ლაზებზე უფრო დიდი სითბოთი კახელებზე ვწერ. ალბათ, იმიტომაც ამირჩიეს საპატიო კახელად, ბარათაშვილის თქმისა არ იყოს, ნამდვილმა ქართველებმა კახელებმა, ერთხელ წინანდალში, მეორედ — იყალთოში. ასე რომ, ორგზის საპატიო კახელი ვარ.

ბოდიშს ვუხდი მკითხველს მეტად სუბიექტური მონოლოგისათვის.

**ლადო ალფენიძე,**
**მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, პუბლიცისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი.**


თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის, დღისა და საღამოს განყოფილებების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ისტორია;
2. ჟურნალისტიკა;
3. იურიდიული;
4. ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, სამუზეუმო საქმე, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა);
5. წიგნთმცოდნეობა და წიგნით ვაჭრობის ორგანიზაცია;
6. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი:
ა) ერთობლივ საწარმოთა საქმიანობა მენეჯერი
ბ) საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობანი
გ) საერთაშორისო მარკეტინგი და საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაცია
7. წარმოების ეკონომიკა და მართვა

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.
გამოცდები ჩაბარდება შემდეგ საგნებში:
1. ისტორიის, ჟურნალისტიკის და ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობებზე: საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ლიტერატურა (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);
2. იურიდიულ ფაკულტეტზე: სამართალმცოდნეობა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ლიტერატურა (ზეპირი);
3. ეკონომიკურ, წიგნთმცოდნეობისა და წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე: მათემატიკა (ზეპირი), ქართული ლიტერატურა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
გამოცდების დროს აბიტურიენტთა ცოდნა შეფასდება 10 ქულიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებად ჩაითვლება 6-დან 10 ბალის ჩათვლით. ჩარიცხვა მოხდება დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით.
სწავლების ვადა 5 წელიწადი. ინსტიტუტში სამუშაოდ მოწვეულნი არიან თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები.
სტუდენტები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს სწავლაში, წახალისდებიან სტიპენდიით, საზღვარგარეთ სტაჟირება-პრაქტიკით და სხვა.
ინსტიტუტში სწავლება ფასიანია.
სწავლის საფასურს სტუდენტები გადაიხდიან ჩარიცხვისთანავე. მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის აბიტურიენტმა წინასწარ უნდა გადაიხადოს 5 000 მანეთი.
ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:
1. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი);
2. სამედიცინო ცნობა, (ფორმა 086);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. 6 ცალი ფოტოსურათი (3X4).
პასპორტსა და სამხედრო ბილეთს, ან მიწერის მოწმობას აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად.
საბუთები მიიღება ყოველდღე 10-დან 17 საათამდე 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით. მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან. ჩარიცხვები დამთავრდება 15 აგვისტოს.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, სვანეთის უბანი, ხრამჰესის ქ. № 14,
26-ე საშუალო სკოლის შენობა,
მე-5 ბავშვთა საავადმყოფოსთან.
საბუთების მიღება შემდეგ მისამართზე:
ცოტნე დადიანის ქ. № 160,
XI საშუალო სკოლის შენობა
(ყოფილი ვ. კიკვიძის სახელობის ბარკთან).
ტელ: 66-04-48, 95-86-89, 96-59-62.

რექტორატი



თბილისის ხელოვნებათმცოდნეობის უმაღლესი სკოლა

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის.

თბილისის ხელოვნებათმცოდნეობის უმაღლესი სკოლა ამზადებს ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სპეციალისტებს, სტუდენტები გადიან სწავლების ხუთწლიან კურსს და იღებენ ხელოვნებათმცოდნის დიპლომს. სპეციალურ დისციპლინებთან ერთად შეისწავლება საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, მითოლოგია, რელიგიის, ლიტერატურის, თეატრისა და კინოს, მუსიკის ისტორია, ხატვა და ფერწერა, უცხო ენა, სამუზეუმო საქმე, ხელოვნების ნიმუშთა და არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაციის საქმე, ინფორმატიკის საფუძვლები.
სწავლა მიმდინარეობს თეატრალური ინსტიტუტის შენობაში.
ხელოვნებათმცოდნეობის უმაღლესი სკოლა დაფუძნებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ბაზაზე. იგი 1991 წლიდან არსებობს. უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიან აკადემიკოსები: ვახტანგ ბერიძე, ნოდარ ჯანბერიძე, პროფესორები, მეცნიერებათა დოქტორები: გაიანე ალიბეგაშვილი, ნათელა ალადაშვილი, ნოდარ ლომოური, ინგა ლორთქიფანიძე, ვასილ კიკნაძე, ლეილა ხუსკივაძე და სხვა ცნობილი სპეციალისტები.
საბუთების მიღება — 1 ივლისიდან.

*ცნობებისათვის და განცხადებების შემოსატანად მიმართეთ უმაღლესი სასწავლებლის რექტორატს — რუსთაველის პრ. 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მეოთხე სართული, ოთახი 416, 417. ტელ: 99-79-62, 99-51-39, 99-00-11, 93-15-11, 11-დან 16 სთ-მდე.*



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი



(ყოფილი კომაროვის სახელობის სკოლა)

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის VII, VIII და IX კლასებში (უცხოური ენების გაძლიერებული შესწავლით).

სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს შესაბამისად VI, VII და VIII კლასი, გამოიჩინეს განსაკუთრებული მიდრეკილება ფიზიკისა და მათემატიკის საფუძვლების შესწავლისადმი და წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
VII კლასში ჩასარიცხი მოსწავლეებისათვის - **მათემატიკა (წერითი) - 5 ივლისს.** VIII და IX კლასებში ჩასარიცხი მოსწავლეებისათვის - **მათემატიკა (წერითი) - 6 ივლისს, ფიზიკა (ზეპირი) - 8 ივლისს.**
განცხადებები მიიღება სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში ა. წ. 4 ივლისამდე ყოველდღე, გარდა კვირა დღისა 14-დან 17 საათამდე.
განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისად VI, VII და VIII კლასის დამთავრების, ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობა, სკოლის ბეჭდით დამოწმებული, სამი ფოტოსურათი (3X4).

*დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში.*
*ჩვენი მისამართია: 380086, თბილისი - 86, ვაჟა-ფშაველას პრ. № 49. ტელეფონი: 39-15-62.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სააქციო კომერციული ბანკი

# „კრედიკა"

## გთავაზობთ:

| | | |
|---|---|---|
| გადარიცხვებს | რუსეთში | 5 საბანკო დღე |
| | დსთ-ს რესპუბლიკებში | 7 საბანკო დღე |
| | საზღვარგარეთის ნებისმიერ ბანკში | 7 საბანკო დღე + SWIFT |

ჩვენ ვიხდით ჯარიმებს ყოველი დაგვიანებული დღისთვის

**ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების დაკრედიტებას მყარი გარანტიებით**

**20 -25 % -მდე თვეში**

**სავალუტო და სამანეთო ანაბრების მიღებას შემდეგ პირობებზე**

**1 თვით - 8 % თვეში 3 თვით - 10 % თვეში 500 % -მდე წლიური რუსულ მანეთებში**

**ანაბრებს მოკითხვამდე**

**30 % -მდე წლიური ვალუტაში (2,5 % თვეში) 200 % -მდე რუსულ მანეთებში**

## ორგანიზაციების, საწარმოების, იურიდიული პირების საყურადღებოდ!

**სკბ „კრედიკა" უფასოდ ხსნის საანგარიშსწორებო ანგარიშებს და მათ ნაშთებზე აწარმოებს დარიცხვებს თვეში 5 % ოდენობით.**

**15 აპრილიდან სკბ „კრედიკა" დაიწყო VISA სამგზავრო ჩეკების გაცემას.**

**მოსახლეობისაგან იბარებს ძვირფას ნივთებს საიმედო შენახვის გარანტიით.**

**ჩვენი მისამართია:**

**ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 47**

**საკონტაქტო ტელ.:**

**34 70 36, 34 63 92**

კრედიკა
CrediCa



მოგზაურის კვერთხი

# როცა კეთილი მეზობელი გულთბილი მასპინძელიც არის

ირანში აიათოლა ხომეინის ხსოვნის დღეებზე

2 ივნისს, დილით ადრე, დაიწყო ჩვენი უაღრესად დატვირთული და საინტერესო პროგრამა. თავდაპირველად წავედით აიათოლა ხომეინის სახელობის სალოცავში „ჰოსეინი — ე იმამ ხომეინი", სადაც უნდა მოგვესმინა ირანის ამჟამინდელი რელიგიურ-პოლიტიკური ლიდერის, აიათოლა ალი ხამენეისათვის.

5 ივნისს, ადრე დილით, შიიტთა ქალაქ მეშჰედში გავფრინდით, სადაც მერვე იმამის — რეზას საფლავი უნდა დაგვეთვალიერებინა.

ნანა გელაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გია გერაძე,
დელეგაციის ხელმძღვანელი, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი:

ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებლის აიათოლა ხომეინის გარდაცვალების მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით ირანში ოფიციალურად მოწვეულ უცხოელ სტუმართა რიცხვი 4 ათას კაცს აღემატებოდა.

გურამ ჩიქოვანი,
საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის რექტორი:

ირანში ჩასვლისას ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას საქართველოსთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. მოგეხსენებათ, საქართველო ისტორიულად არის დაკავშირებული ირანთან, ამიტომ ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით.

# პუბლიცისტის სიტყვა უკვდავია

ცნობილ ჟურნალისტს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, ომისა და შრომის ვეტერანს მიხეილ დავითაშვილს ამ დღეებში ოთხმოცი შესრულდებოდა... იგი 1991 წელს გარდაიცვალა. მდიდარი ცხოვრებისეული გზა განვლო პრესის მუშაობის მთელი წლების მანძილზე: თავისი ჟურნალისტური კარიერა 1938 წელს დაიწყო ამიერკავკასიის ლექტებთა სავჯენტოში (ამჟამად საქართველოს საინფორმაციო სააგენტო).

დაჯილდოებული იყო საბრძოლო ორდენებით. იგი ავტორია 20-ზე მეტი წიგნისა, რომლებიც თარგმნილია რუსულ, სლოვაკურ და სხვა ენებზე.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ გამოსცა წიგნი.

ბოლო წლებში კავკასიაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო. კავკასია ეთნოკონფლიქტების შესაძლო აფეთქების მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ რეგიონს ეხება. ისტორიულად ურთიერთ კეთილგანწყობილი პატარა მთიელი ერები იმპერიის დამპყრობლური, გაერთიანებულ ნაცვლად, ირაღით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გაერთიანებული ერებისა და სხვა ორგანიზაციებიდან სამშვიდობო მისიების ძალისხმევამ, ჩერჩერობით შედეგი ვერ გამოიღო.

# ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს!

დაახლოების პროცესი უკვე დაიწყო. რამდენად სასიამოვნოა, რომ ამ საქმეს ჩვენი თანამემამულე კობა ჩაგელიშვილი უდგას სათავეში. იგი ეთნოგრაფ-ეთნოლოგია, 20 წელიწადია კავკასიელ ხალხთა ეთნიკურ ისტორიას სწავლობს. მისი თაოსნობით ვლადიკავკაზში უკვე გაიმართა რუსი და ქართველი საზოგადოებრიობის (ინტელიგენციის) შეხვედრა. ამჟამად მზადდება ქართველების, დაღესტნელების, ჩეჩნების, ინგუშების, ჩერქეზებისა და კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხების შეხვედრა. თავად ისინიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი ჩვენთან და, საერთოდ, ერთმანეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარონ. ამას მოწმობს დაღესტნიდან გამოგზავნილი დოკუმენტები, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრს ბატონ დავით მაღრაძეს

დაღესტნის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს თანამშრომლები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ბატონ კობა ჩაგელიშვილის ინიციატივას კავკასიელ ხალხთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა სამშვიდობო შეხვედრის მოსამზადებლად და მზად არიან მოთა

ხიდები

ლური დახმარებისათვის. მიძმე კავკასიელი ხალხების ურთიერთობების მოგვარების საქმეში შუამავლობისათვის.

დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ ბატონ კობა ჩაგელიშვილის სამშვიდობო მისიისადმი. მადლობა მას.

ღმერთმა ასეთი შვილები უმრავლოს კავკასიას.

დაღესტნის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი
ნ. აბდულგამიდოვა.
ქ. მახაჩკალა, 1994 წლის 4 იანვარი

საქართველოს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს
გ. ი. ფანჯიკიძეს

მაშინ, როცა მოძმე კავკასიელ ხალხთა სისხლი იღვრება, დაღესტნელ ლიტერატორებს, ინტელიგენციას არ ძალუძს გულგრილად მიადევნოს თვალი აქ მიმდინარე პროცესებს. ამიტომ კავკასიელ ხალხთა მოწინავე ადამიანებთან ერთად მზად არიან შეუერთდნენ გონიერების ხმას, რათა შეაჩერონ უბედურება.

ამასთან, ენთუზიაზმით ვეგებებით კობა ჩაგელიშვილის სამშვიდობო ძალისხმევას და მზად ვართ ნებისმიერი სამშვიდობო ღონისძიებისათვის.

დაღესტნის მწერალთა გამგეობის თავმჯდომარე
რასულ გამზათოვი.

შოთა მამარაშვილი.

## ინფორმაცია

### განხორციელდა ფართომასშტაბიანი ოპერაცია

კოლიციის თელავის რაიონული განყოფილებისა და შინაგანი ჯარის თელავის მებრძოლებმა მოსახლეობისათვის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღისა და დანაშაულებრივი გზებით მოპოვებული სხვადასხვა ნივთმტკიცების ჩამორთმევის მიზნით განახორციელეს ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რომლის დროსაც აღმოაჩინეს დიდძალი ტყვია-წამალი — 8 ავტომატური იარაღი, 1 მაკაროვისა და 1 გაზის დამბაჩა, 2 შაშხანა, 15 სანადირო თოფი და 2 მცირეკალიბრიანი შაშხანა.

### დაჭრეს პოლიციელები

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 20 ივნისს, 22 საათზე, აბაშის რაიონის სოფელ ქოლობანთან სამმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა ავტომანქანას, რომელშიც [illegible] შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ა. ხუხულაია, მძღოლი ნ. გვასალია და ავტოინსპექტორი ნ. ხოშტარია. სროლის შედეგად ისინი დაიჭრნენ და მოთავსებული არიან ქუთაისის საავადმყოფოში.

ბოროტმოქმედები მიიმალნენ. მიმდინარეობს ძიება.

### ნაპოვნი რაკეტები

საქინფორ[illegible] კორესპონდენტის [illegible] 20 ივნისს ხონის [illegible] მეთა განყოფ[illegible] ტყიბინების [illegible] მდინარე ცხე[illegible] პირზე მდებარ[illegible] 30 60 ფ-8 [illegible] რაკეტები.

### ქვე[illegible] პრობლემები

ამინდიანი შეხვედრების შემდეგ მხოლოდ ქუთაისის ერთადერთ უბანში გამონდა სასმელი წყალი. მუხიანა-კაჭარას წყალსადენში ძრავების მწყობრიდან გამოსვლამ, რასაც თან ერთვის, ფაქტობრივად, უმოქმედო ჭომის წყალსადენი, ქალაქში კატასტროფული ვითარება შექმნა. უწყლოდ აღმოჩნდა მაღლივ შენობებსა და კერძო სექტორში მცხოვრებ ქუთაისელთა ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტი. გაჭირდა ზოგიერთი კვების საწარმოს კი, მიღებული ღონისძიებების მიუხედავად, ქალაქი ჭერჭერობით მხოლოდ ფარცხანაყანების წყალსადენის იმედადღაა დარჩენილი, რომელიც თავის სიმძლავრის გამო ქუთაისისათვის მართლაც რომ ზღვაში წვეთია.

### ღია კარის დღე

გაიმართა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. საგამოცდო კომისიათა თავმჯდომარეებმა, მასწავლებლებმა უპასუხეს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა კითხვებს, გააცნეს მათ უმაღლეს სასწავლებლში მიღების წესები. 1-20 ივლისს დოკუმენტების მიღება, 21 ივლისიდან — მისაღები გამოცდები.

მოსახლეობის საყურადღებოდ!
ვიბარებთ
ვოლჩალ ლოკოკინებს წონით (ნებისმიერი რაოდენობით)
თქვენთვის ხელსაყრელ ფასებში.
მოგვმართეთ მისამართით:
[illegible] 7, [illegible] მე-15 [illegible],
ტელ: 37-04-82.

## ახალგაზრდობა — იმედი ხვალის

# მოდის საიმედო ცვლა





საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შემოქმედებითი ასოციაცია, რომლის პრეზიდენტია ბატონი გიორგი თევდორაძე, ყოველწლიურად ატარებს სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციას. მისი ძირითადი მიზანია მაქსიმალურად გამოავლინოს ნიჭიერ სტუდენტთა საქმიანობა და შეუქმნას მათ შემოქმედებითი მუშაობის პირობები. ამ მიზნით ახლო მომავალში დაგეგმილია შეიქმნას სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სტიმულირების სპეციალური ფონდი და კომპიუტერული ბანკი.

ასოციაცია შეიქმნა 1990 წლის 28 მაისს და თავის რიგებში აერთიანებს მოწინავე სტუდენტებს, ასპირანტებს, სტაჟიორებს.

— წლეულს რიგით 63-ე კონფერენცია გაიმართა, რომლის მუშაობაში მრავალი სექცია მონაწილეობდა. მათ შორის იყო გეოლოგიური სექციაც.

აქ სამეცნიერო მუშაობის კარგი ტრადიცია არსებობს. წლების მანძილზე სტუდენტები საპატიო ადგილს იკავებენ და კონკურსშიც იმარჯვებენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ისინი კვლევის ახალ მეთოდებს ეუფლებიან, რაც კარგად ჩანს მათ მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში.

იმ ნაშრომთა შორის, რომლებიც ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი გეოლოგიის სხვადასხვა დარგში, ყურადღების ღირსია ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის წარჩინებული სტუდენტების: ნატალია ვეფხიაშვილის, ლევან გორგიძისა და გოჩა ჯალიაშვილის მოხსენებები. მათ ბოლო სამი წლის განმავლობაში შეასრულეს ძალზე საინტერესო მოხსენებები ჰიდროგეოლოგიაში. ეს ეხება მიწისქვეშა წყლების საბადოთა ჰიდროდინამიკის საკითხებს, რომელსაც ხელმძღვანელობს კათედრის პროფესორი ანატოლ ნადარეიშვილი. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მათ მოხსენებებს მიენიჭათ საპატიო პირველი ადგილი და ჯილდოები.

ჯილდოები დაიმსახურეს სხვა სტუდენტებმაც. მათი წარმატებები განაპირობა იმან, რომ ახალგაზრდებთან კარგად მუშაობს კათედრის მთელი კოლექტივი.

თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად სტუდენტები ხდებიან ასპირანტები და სამომავლოდ იზრდება ღირსეული ცვლა. ნატალია ვეფხიაშვილი, ლევან გორგიძე და გოჩა ჯალიაშვილი დამამთავრებელი კურსის სტუდენტები არიან და საღიპლომო გეგმარების ცვლილების მიუხედავად არ ღალატობენ თავიანთ სამეცნიერო მუშაობას და განაცხადი შეიტანეს კონფერენციის მუშაობაშიც. — კონფერენციაში ჩემი და პროფესორ დავით ჩხეიძის ხელმძღვანელობით, მათთან ერთად მონაწილეობენ წარჩინებული სტუდენტები: ხათუნა დევიძე, ნინო ჩიბუხაია, ხათუნა ავალიანი, დათო ჩუხრუკიძე, — გვითხრა სამთო-გეოლოგიური ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა ლია ვარაზაშვილმა.

გეოლოგიის ფაკულტეტს 65 წლის ისტორია აქვს. ჩვენი კათედრა პროფესორ იოსებ ბუაჩიძის ხელმძღვანელობით 1954 წელს დაარსდა და დიდი სახელიც მოიხვეჭა. ეს ახლა მე-40-ე გამოშვებაა.

კათედრაზე ამჟამად 18 პროფესორ-მასწავლებელი და 6 დამხმარე პერსონალი მუშაობს. ყველა მათგანს სამეცნიერო ხარისხი აქვს. აქ სასწავლო პროცესის გარდა ფუნდამენტური კვლევები მიმდინარეობს ჰიდროდინამიკაში, ჰიდროგეოქიმიაში, საინჟინრო გეოლოგიაში. დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიური საკითხების დამუშავებასაც.

შემთხვევითი არ გახლავთ, რომ კათედრამ მიზანშეწონილად ჩათვალა მოწინავე სტუდენტების შრომითი მოწყობის საკითხიც. ამჟამად სტუდენტთა ეს სამეული კათედრის თანამშრომლები არიან.

საპრიზო ადგილებისა და აკადემიური წარმატების პრინციპით სტუდენტთა სამეცნიერო შემოქმედებითი ასოციაციისა და სტუდენტური კავშირის თაოსნობით შეარჩიეს ტექნიკური უნივერსიტეტის 20 სტუდენტი, მათ შორის ნატალია ვეფხიაშვილი, ლევან გორგიძე და გოჩა ჯალიაშვილი, რომლებსაც მიენიჭათ 1992-93 წლის საპატიო სტუდენტის წოდება და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ.

**იზა ჯაჭვაძე.**

• • •

სურათზე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის ფრიადოსანი და 63-ე კონფერენციაში გამარჯვებული საპატიო სტუდენტები: ნატალია ვეფხიაშვილი, ლევან გორგიძე და გოჩა ჯალიაშვილი.

სიმონ კილაძის ფოტო.

## ცხელ გულზე

# „თქვენ წადით და ჩვენ მოვალთ“

(პარლამენტის 14 ივნისის სხდომაზე აკაკი ბობოხიძის გამოსვლის გამო)

ყური მიგდე: საუბარს მეც „შენს სტილში“ ვაპირებ,
თუმცა, არ გადავლახავ ზრდილობის ნაპირებს!
ჩემდაჭირად ვუცქირე თავისმომწონე სესიას,
ოცდახუთ წუთს ვისმენდი შენს უფასო ლექციას!
იყო აყალ-მაყალი, იყო დედის გინებაც,
აწყვეტილი აზრების ალმა-დალმა დინებაც!
ზოგი სცემდა მიკროფონს, ზოგმა პულტიც დალეწა,
ამ სცენების შემყურეს შიგნეული დამეწვა!
შენ კი კბენაც მოასწარ, ზოგის ყურშიც წავლებაც,
თუმცა, არვის უნდოდა შენი ჭკუის სწავლება!
„თქვენ წადით და ჩვენ მოვალთ!“ — მთავრობას რომ მიმართე,
ამას აღარ ველოდი, — უნდა გითხრა სიმართლე!
არ მეგონა, თუ იყავ შუმი კარიერისტი,
სულ მეგონა, იყავი შეწირული ერისთვის!
როცა ამბობ, მოვალთო, თუ გიყვარდე, ვინ გთხოვა?
ალბათ ხუმრობ, ხუმრობის ხასიათზე ვითომ ვართ?
პარლამენტში ორჯერ ხართ, მეტი მოსვლა რა გინდათ?!
არ გაკლიათ კრედიტი, სკამიც გაქვთ და მაგიდაც!
ხალხს, რომელსაც თვალები სავარძლისკენ უჭირავს,
ქვეყნის ბედზე კამათი მათთან უკვე ფუჭია!
თუ მესამედ მოსვლა გსურთ, ა, ბატონო, მობრძანდით,
თუ ამისთვის იბრძოდით, თუ ამისთვის გვმოძღვრავდით!
ოღონდ, რაკი მოდიხართ, თუ ღმერთი გწამთ, იწამეთ:
ცოტა ზრდილობიანი ყოფა-ქცევა ისწავლეთ!
ცუდია, რომ არ იშლი „თქვენობას“ და „ჩვენობას“,
და საქვეყნოდ აცხადებ: „თქვენ“ წადით და „ჩვენ“ მოვალთ!“
ჩემს თავს თუ არ ვუშველი (ასე არ ვარ მარტო მე),
როცა მამულს გაიყოფს, ვატყობ, მშრალზე დამტოვებთ!
ამიტომაც ერთსა გთხოვთ ამ მიწა-წყლის გამყოფებს:
ყველაფერი თქვენ გქონდეთ, მე ჩემს ჩხარში მამყოფეთ!
დაიცავით სიმშვიდე — ან რიგი და ან ჭერი,
დამიჯერეთ: ერთ სკამზე ყველა ხომ ვერ დაჯდებით?!
. . .
ეს ქვეყანა ჩვენია, ჩემიცა და შენიცა,
ამის ცნობა თუ გიჭირს, მაშინ თავი შეიცან!

**გურამ კლდიაშვილი.**

# პოეზიის ხიდი მაშავერაზე

კაზრეთის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, რომელსაც ახალგაზრდა ხელოვანი კობა ქლენტი ხელმძღვანელობს, გასული ორი, მართლაც, მძიმე წელიწადის გაჭირვება, შედარებით იოლად გადაიტანინა არა მარტო საკუთარ დაბას, არამედ ამ დაბის სტუმრებს, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ ყმაწვილების შემოქმედებისა და მათი ღონისძიებებისათვის. ქვეყნის ცხოვრების სასიკეთო შემობრუნების იმედის ცეცხლი კვლავაც ანთია კაზრეთში და მისი მხარძარნი ისევ და ისევ ეს ყმაწვილები არიან.

ახლახან მათ მშვენიერი შემოქმედებითი საღამო გაუმართეს ცნობილ პოეტ ქალს და პუბლიცისტს ნანა ღვინეფაძეს, რომელიც დაბის მოსახლეობის წინაშე წარსდგა გამოქვეყნებული და ახალი ლექსებით. მისი პოეზია აახმიანეს კაზრეთელმა მოსწავლეებმა და მსახიობმა ელდინო სალარაძემ. პოეტის პუბლიცისტურ, თეატრალურ და პოეტურ შემოქმედებაზე ისაუბრეს ადგილობრივმა პედაგოგმა ლია ანდიაშვილმა, მწერალმა ლევან სანიკიძემ, მხატვარმა-გრაფიკოსმა ემირ ბურჯანაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლამარა დოლონძემ.

სცენაზე მთელ საღამოს პოეზიის ნორჩი მოცეკვავეების ხელოვნება ერწყმოდა.

საღამოს შესახებ თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა მხატვარმა ნანა ბოტკოველმა: „ეს საღამო ჭეშმარიტად ეროვნული აქტი იყო, რაც დღეს ყველაზე საჭირო და მტკივნეულია ერისათვის. ამ შეხვედრამ დაადასტურა, რომ მთლად არა ვართ გადაშენების გზაზე და რომ ერში, ადამიანებში, სიყვარულის ხიდის გადების სურვილია. ის, რაც დღეს ჩვენ გვჭირდება, ყოველივე კაზრეთში ვნახეთ.

ქალბატონ ნანას კი მთელი ცხოვრების მანძილზე ეყოფა ის სითბო და სიყვარული, აქ რომ აჩუქეს.

გაოცებული ვარ აქაური მოცეკვავე ყმაწვილებით, მათი ხელმძღვანელი კობა ქლენტი, ჩანს, მთელ თავის დაუოკებელ ენერგიას მომავალი თაობის აღზრდას, მათ გაკეთილშობილებასა და სიკეთის სამსახურს ახმარს“.

შემოქმედებითი საღამო ერთი სცენარით დაიწყო და დამთავრდა. საქართველოს მეწინავე სადროშოსა და მოწინავე პოეზიის მხარეში, ორბელიანებისა და ბარათაშვილების კუთხეში ეტლი მიცურავდა, როგორც წარსულისა და დღევანდელობის, ტრადიციისა და პოეზიის ერთგულების სიმბოლო. ეტლში ჩოხოსან ჭაბუკებს გიორგისა და ლაშას შუაში პოეტი ქალი მოექციათ ყვავილებთან ერთად.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

# მესხეთის თეატრი ცოცხლობს

— როდესაც სპექტაკლის პრემიერის დროს არ გვაქვს სინათლე, როცა სიცივისაგან გათოშილ მსახიობს ხმა უკანკალებს, როცა ხელფასით თავს ვერ ირჩენ, დამეთანხმებით, იძულებული ხდები, მიატოვო თეატრი და სხვა საარსებო წყარო ეძებო, მაგრამ პროფესიონალი მსახიობი და რეჟისორი მაინც ვერ ტოვებს თეატრს, — გვეუბნება ახალციხის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი ილია მაცხონაშვილი. — უმძიმესი პირობების მიუხედავად დავდგით ოთარ ჩხეიძის „ვისია, ვისი“, ნიკოლოზ ოსტროვსკის „უმზითვო“, სუნდუკიანის „პეპო“, გურამ ბათიაშვილის პიესა „თავდავიწყების თამაში უცხოთა ლოგინებში“...

გაჭირვების მიუხედავად არ გვტოვებს მაყურებელი. განსაკუთრებით აქტიურად გვიჭერს მხარს სტუდენტი ახალგაზრდობა და ამავე დროს მათი ცხოვრების ამსახველი პიესების დადგმას მოითხოვენ ჩვენგან. მესხეთის თეატრი თავისი გულშემატკივარი მაყურებლისთვის იღოცებლებს და მათ ახალი სპექტაკლებით გაახარებს, — თქვა რეჟისორმა.

**რობერტ ცუცქირიძე.**

## მედეღანა: ბევრი შვილი საქართველოს

# მხოლოდ ოჯახური ბედნიერებისათვის

წინა შეხვედრისას თბილისის მეშვიდე ქალთა კონსულტაციის მთავარი ექიმი ლევან მამალაძე დაგვპირდა ქალების უშვილობის მიზეზებზე საუბარს.

— დიახ, მახსოვს, მაგრამ საკითხი იმდენად სამედიცინოა, რომ ისეთ პოლიტიკურ გაზეთში, როგორიც თქვენია, ამის ახსნა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. სამაგიეროდ მკითხველს მივუთითებ დაორგანიზაციებს, კერძოდ, მშობის ბიუროებს, სადაც შეუძლიათ მიაკითხონ და შეძლებისდაგვარად ამომწურავი პასუხი მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე იმ ლექციებზე დასწრებით, რომელსაც კითხულობენ ჩვენი დაწესებულებიდან წარგზავნილი ექიმები. ზოგადად კი ქალთა უშვილობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ცნობილია შემთხვევები, როცა ჯანმრთელი ქალი ვერ ორსულდება. ასეთ ფაქტებს ფუნქციონალურ უშვილობას მიაკუთვნებენ. ძლიერი ემოციური გადაღლა და ნერვიულობაც უშვილობის მიზეზია. ფუნქციონალურ უშვილობას შეიძლება თავი ავარიდოთ უარყოფითი ჩვევების მიტოვებით (სიგარეტის წევა, ალკოჰოლი, სიმსუქნე). საერთოდ ქალბატონებმა კარგად იციან, თუ რას ნიშნავს ჯანსაღი მილები, დარეგულირებული მენზისი, მოჭარბებული თმიანობა. ძირითადი ყურადღება კი მაინც მილებს უნდა მიექცეს, რადგან არსებობს ისეთი მაგალითები, რომ თუ გათხოვილ გოგონას ორი წლის თავზე მილები ჩაეკეტა, ამ შემთხვევაში მიზეზი ხშირად ვაჟია, რომელმაც ვენერიული დაავადება გადაიტანა და სწორად არ იმკურნალა. ამიტომ აუცილებლად ვურჩევდით ახალგაზრდებს დაქორწინებამდე შეემოწმდნენ ჩვენს ორგანიზაციაში ისე, როგორც ეს ხდება სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ წყვილთა შორის შეუთავსებლობა გამოწვეულია ქალის ორგანიზმში ანტისხეულების არსებობითაც, თუმცა სხვა ქორწინებებში ასეთ ქალსა და მამაკაცს შეუძლიათ შვილი იყოლიონ.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ უმჯობესია დაავადება ყოველთვის ავიცილოთ თავიდან, ვიდრე ვიმკურნალოთ. ყველა გადახრის შემთხვევაში მივმართოთ ექიმს. მკურნალობის შედეგი დამოკიდებულია თავის დროზე ჩატარებულ სრულფასოვან გამოკვლევებზე, რომელიც შეიძლება ჩაიტაროთ ჩვენს კონსულტაციაში. თუ შვილი გსურთ, ნუ დაივიწყებთ შემდეგ პირობებს — სრულფასოვანი და მრავალგვარი კვება, მავნე ჩვევების მიტოვება, ფიზიკური ვარჯიში.

— ბატონო ლევან, ცნობილია, რომ ქორწინება საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა და ვითარდებოდა როგორც ფორმით, ისე შინაარსის მიხედვით. მასზე გავლენას ახდენდა ის საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც გაბატონებული იყო ამა თუ იმ ეპოქაში.

— ეს ნამდვილად ასეა. ცნება ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობლივ ცხოვრებას გულისხმობს. სხვადასხვა ეპოქაში კი, როგორც თქვენ ბრძანეთ, იგი განსხვავებულ ფორმებს შეიცავდა. და თუ ამ ფორმებს დაწვრილებით განვიხილავთ, აი, რისი აღნიშვნა მოგვიწევს: იყო დრო, როცა ქორწინებები სისხლის ნათესავთა (ბიძაშვილები, მესამე მუხლის ნათესავები) შორის ხდებოდა; ჯგუფური ქორწინება, როდესაც ნათესავთა ერთი ჯგუფი ასევე ნათესავთა ჯგუფზე ქორწინდება, მაგალითად ძმები დებზე; დაბოლოს მონოგამიური ქორწინება, როდესაც საქმე გვაქვს ერთი ცოლისა და ერთი ქმრის მყარ ერთობლივ ცხოვრებასთან.

მონოგამიური ქორწინება დღემდეა გავრცელებული. თუმცა დროთა განმავლობაში მანაც განიცადა ცვლილებები. მონათმფლობელურ პერიოდში მონათმფლობელს შეეძლო, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე ჰყავდა, ნებისმიერ ფავის მონასთან ეცხოვრა. ფეოდალურ პერიოდში ეს ტრადიცია შეიცვალა პირველი ღამის უფლებით, ე. ი. მონოგამიური ფორმის ქვეშ პოლიგამიის ელემენტები ჩნდებოდა.

მონოგამიური ქორწინება ამჟამადაც არ არის დახვეწილი. ამაზე მეტყველებს ის მრავალრიცხოვანი განქორწინებები, რომლებიც ყველა ქვეყანაში ხდება.

და მაინც, ეს არის საუკეთესო ფორმა აქამდე არსებულ ქორწინებებს შორის, რაზეც შემდეგი ფაქტორები მეტყველებს: 1. მონოგამიური ქორწინება საუკეთესოდ აკმაყოფილებს ფსიქოლოგიური პრობლემების მთელ რიგს, ისეთს, როგორიცაა მოთხოვნილება გიყვარდეს და უყვარდე, გყავდეს ადამიანი, რომელსაც შეუძლია ყველაფერი გაუზიარო, ბოლომდე გაგიგებს, ენდობი.

2. მონოგამიური ქორწინება ბავშვების აღზრდის საუკეთესო ფორმაა, რაზეც მეტყველებს ელემენტარული შედარება ოჯახებში გაზრდილ ბავშვებსა და ბავშვთა სახლში აღზრდილებს შორის, და სხვა მრავალი ფაქტორი მის სასარგებლოდ. თუმცა, არსებობს პრობლემებიც. თანამედროვე მონოგამიური ქორწინების მთავარი პრობლემაა ოჯახური მოვალეობებისა და პიროვნების თავისუფლების დაპირისპირება. ამ ქორწინების ფუნქციებიდან უნდა გამოიყოს შემდეგი: 1. ცხოვრების მუდმივი თანამგზავრის პოვნა; 2. სექსუალურ-ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; 3. მემკვიდრეობის აღზრდა.

ოჯახი — ეს არის საზოგადოების საწყისი უჯრედი.

ოჯახური ბედნიერება დამოკიდებულია თვითეული ადამიანის აღზრდაზე. ვისაც ბავშვობიდანვე უნერგავდნენ სხვისი აზრის, ინტერესის პატივისცემას, სხვებზე ზრუნვას, ოჯახის წევრების ინტერესების გათვალისწინებას, ის თავისუფალია კომპლექსებისაგან, ყურადღებით ექცევა პარტნიორს. ბუნებრივია, მას უფრო მეტი შანსი აქვს ბედნიერებისთვის. იმისათვის, რომ ოჯახური წყვილი ნამდვილ ოჯახად გარდაიქმნას, საჭიროა შვილები. მხოლოდ ამით იძენს ოჯახი ღრმა ბიოლოგიურ და სოციალურ აზრს. მაგრამ, ბოლო დროს შობადობის კლებისაკენ შექმნილი ტენდენცია გარკვეულწილად გამოიწვია სხვადასხვა მიზეზებმა. მიზეზთა შორის უპირველესად უნდა დასახელდეს ლტოლვა კომფორტისაკენ, ჩაცმის, თავისუფალი დროის გატარებისკენ, რაც თავის მხრივ ფულად დანახარჯებს ზრდის. ოჯახის სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები სხვა შემთხვევებშიც არ გამოირიცხება. ჩვენი საზოგადოებისათვის ნორმალური ხელისშემწყობი პირობები რომ არსებობდეს, ქალი ორზე მეტ შვილს გააჩენს. სხვა მიზეზად თავისუფლად შეიძლება დასახელდეს განათლების ზრდა, კითხვისა და თვითგანვითარების მოთხოვნილებებიც.

**ია კალანდარიშვილი.**

## მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატზე

### ფავორიტებმა მოგებით დაიწყეს

ორშაბათს პირველი გამარჯვებები მოიპოვეს „ბ“ და „ფ“ ჯგუფებისა და საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებმა — ბრაზილიელმა და ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა, მაგრამ თუ სამხრეთამერიკელთა თვალსაჩინო უპირატესობის რეალიზაცია რუსეთის ნაკრებთან მატჩში მხოლოდ დროის საკითხი გახლდათ, ამას ვერ ვიტყვით „ტიტების ქვეყნის“ წარმომადგენელთა მძაფრი დუელის შესახებ საუდის არაბეთის წინააღმდეგ, სადაც ორთაბრძოლის ბედი საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე აზიელთა მეკარის მიერ დაშვებული უხეში შეცდომის შემდეგ გადაწყდა.

„ბ“ ჯგუფი

სან-ფრანცისკო. ბრაზილია (რომარიო, რაი) — რუსეთი 2:0.

„ფ“ ჯგუფი

ვაშინგტონი. ჰოლანდია (იონკი, ტაუმენტი) — საუდის არაბეთი (ამინი) 2:1.

### გუშინ ბათუმში

გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდსა და ბრაზილიის სამგზის ჩემპიონ „პალმეირასს“ შორის. შეხვედრის ანგარიშია 1:0 ბრაზილიელთა სასარგებლოდ.

### საბოლოო შედეგები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, დასრულდა ფეხბურთელთა მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი. გთავაზობთ საბოლოო სატურნირო ცხრილს.

I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ | 18 | 16 | 0 | 2 | 48 |
| „კოლხეთი“ | 18 | 14 | 2 | 2 | 44 |
| „ტორპედო“ | 18 | 9 | 4 | 5 | 31 |
| „სამტრედია“ | 18 | 9 | 2 | 7 | 29 |
| „ბათუმი“ | 18 | 8 | 4 | 6 | 28 |
| „შევარდენი“ | 18 | 6 | 3 | 9 | 21 |
| „გურია“ | 18 | 5 | 2 | 11 | 17 |
| „მარგვეთი“ | 18 | 4 | 3 | 11 | 15 |
| „დილა“ | 18 | 4 | 2 | 12 | 14 |
| „იბერია“ | 18 | 3 | 2 | 13 | 11 |

XI-XVIII ადგილები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ | 16 | 10 | 0 | 6 | 30 |
| „ოდიში“ | 16 | 9 | 2 | 5 | 29 |
| „საპოვნელა“ | 16 | 9 | 2 | 5 | 29 |
| „სამგურალი“ | 16 | 9 | 1 | 6 | 28 |
| „კახეთი“ | 16 | 9 | 1 | 6 | 28 |
| „ალაზანი“ | 16 | 8 | 3 | 5 | 27 |
| „შუქურა“ | 16 | 7 | 1 | 8 | 22 |
| „მალაროელი“ | 16 | 4 | 2 | 10 | 14 |
| „მრეტები“ | 16 | 0 | 2 | 14 | 2 |

დებულების თანახმად პირველი ჯგუფი ბოლო ოთხმა კლუბმა უნდა დატოვოს.

### საჩუქრები — ვეტერანებს, ბავშვებს

გულმოწყალე ადამიანთა დახმარებით შესაძლებლობის ფარგლებში მისაბაძ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ჩხოროწყუს რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე — არნოლდ ქვანია). მან საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სოციალური და ჰუმანური ინიციატივების ცენტრის მიერ გამოყოფილი ერთჯერადი სამედიცინო შპრიცები დაურიგა მეორე მსოფლიო ომის ჩხოროწყუელ ვეტერანებს. მანვე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩატარებული საზეიმო ღონისძიების ყველა მონაწილეს, რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში მყოფ ავადმყოფებსა და სამშობიარო სახლის ყველა ახალშობილს გადასცა ფასიანი საჩუქრები. ამის სპონსორი იყო ზემოაღნიშნულ ცენტრთან არსებული ფირმა „აისი“, რომელსაც რაიონის მკვიდრი ელდარ ხულორდავა ხელმძღვანელობს.

# განცხადება

## მკითხველთა საყურადღებოდ!*

სამწუხაროდ, კვლავ გამოვიდა „იბერია-სპექტრი“, საქართველოში ძმათამკვლელი ომის გამჩაღებელი და თავგამოდებული იდეოლოგი, რომელსაც „ამშვენებს“ საცოდავთა მესიის, გამსახურდიას დიდი პორტრეტი.

გაზეთში დაბეჭდილია დამახინჯებული ნაწყვეტი ჩემი სიტყვისა, რომელიც წარმოვთქვი ამას წინათ, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენელთა შეკრებაზე...

მიუხედავად ყველაფრისა, ამ სიტყვაში მაინც ჩანს, რისი თქმაც მსურდა...

კიდევ ერთხელ, საქვეყნოდ და, რაც მთავარია, სამომავლოდ ვაცხადებ: რამდენმა გაზეთმაც უნდა მაწყენინოს, რამდენი გაზეთიც უნდა მომწონდეს, გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს დემოკრატიას. ყველას თავისი გზა, გემოვნება და პოზიცია აქვს... მაგრამ გაზეთი, რომელიც სისხლითა და ხორცით, სულითა და გულით, გამსახურდიას მიზანთროპიულ რეჟიმს უკავშირდება და ემსახურება, საქართველოში ძმათამკვლელი ომის პროპაგანდისტია, რა თქმა უნდა, დასაგმობია...

ბატონებო, ნუ ვხუმრობთ, თავი გავანებოთ დემოკრატობანას თამაშს. დემოკრატია ის კი არ არის, ძმა ძმას გადაეკიდო და საქართველო დამალო, დემოკრატია საქართველოს ერთიანობის სინათლეა, სისხლით მოთხვრილი დემოკრატია — ფაშიზმია.

და, ბოლოს!

ვინც „იბერია-სპექტრს“ მხარს უჭერს, თუნდაც განგებ, ნება მომეცით, ეჭვი შემეპაროს იმის კაიკაცობაში...

ბოლოს და ბოლოს, ჩემს დაბნევას მართლა რა უნდა? ვალიარებ, ვერ გავიგე რა ხდება ამ საცოდავ საქართველოში.

* წაკითხულია პარლამენტის ტრიბუნიდან.

**ჯანსუღ ჩარკვიანი.**

საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი

29 ივნისს, 14 საათზე, სხდომათა დარბაზში
(მ. კოსტავას ქ. 77, ადმინისტრაციის კორპუსი)
აბიტურიენტთათვის აწყობს

„ღია კარის დღეს“

მათ შეხვდებიან მეთოდიკური კომისიების ხელმძღვანელები, გასული წლების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები და პასუხს გასცემენ შეკითხვებზე.
პროგრამაშია ინსტიტუტების, კათედრების, სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიების დათვალიერება, მიღების წესებისა და აბიტურიენტებისათვის წაყენებული მოთხოვნების გაცნობა, შეხვედრები პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტობასთან.

პედაგოგთა
კვალიფიკაციის ამაღლებისა და
გადამზადების რესპუბლიკური
ინსტიტუტი
პედაგოგიური სპეციალობების დასაუფლებლად აცხადებს მიღებას
გადამზადების სპეც. ფაკულტეტზე
(სკოლამდელი აღზრდა, დაწყებითი განათლება, ლოგოპედია, რელიგია და კულტურა, ბიოლოგია, ქიმია, გეოლოგია, უცხოური ენები, მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია).
სწავლების ხანგრძლივობა 1 წელიწადია.
სპეც. ფაკულტეტზე მიიღებიან მხოლოდ უმაღლესდამთავრებული პირები.
სწავლება ფასიანია.
განცხადებები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა),
1994 წლის 10 სექტემბრამდე.
მისამართი: დავით აღმაშენებლის 178, ტელ: 34-31-79, 34-16-25.

იყიდება
უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილი 70 კგ-იანი ტომრებით, 1 ტომრის ფასი 32 ათასი მანეთი.
ტელ: 95-92-57, 96-36-50 (დღისით),
23-38-89, 29-38-26, 39-45-54 (საღამოს)

ფირმა „ქორი“
შეისყიდის საქართველოს საინვესტიციო კორპორაცია „სასკო“-ს აქციებს.
ფასი შეთანხმებით.
მისამართი: კ. გამსახურდიას გამზ. № 41
ტელ: 66-31-08

# მეგობრის ხსოვნას



ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ აღარ იქნება ჩვენს შორის სიკეთით სავსე, ყველას მოსიყვარულე და სათნო მზია გიორგობიანი, აღარ მიუჯდება ჟურნალისტთა ფედერაციაში თანამშრომლებისა და საფიცარი შვილიშვილის სურათით დამშვენებულ თავის სამუშაო მაგიდას.

ორ ათეულ წელიწადზე მეტ ხანს ემსახურა მზია გიორგობიანი ჟურნალისტთა კორპუსს. ემსახურა ერთგულად, მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობით.

გულისხმიერი, ყველას ჭირისა და ლხინის მოზიარე — ასეთად დარჩება იგი თითოეული ჩვენგანის ხსოვნაში.

სულთმოფენობის დღეს აღესრულა და არის ამაში რაღაც სიმბოლური. ამბობენ, ამ დღეს განსვენებული ადამიანის სული მისთვის საყვარელ ყვავილად გარდაისახებაო...

ნათელი პიროვნება იყავი ჩვენო მზია და ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.**

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი თანაუგრძნობს ქ. თბილისის სამგორის რაიონის შინაგან საქმეთა საგამოძიებო განყოფილების უფროსს ქალბატონ ნათელა თინიკაშვილს შვილის

ავთანდილ ავთანდილის ძე ბაქრაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რკინიგზის სასწავლებელთა განყოფილება, მე-11 საბავშვო ბაღის თანამშრომლები, აღსაზრდელები და მათი მშობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზინაიდა ილარიონის ასული შენგელია-ხარისჭირაშვილისა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.
შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ივნისს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ხოჭიაშვილი.
შეკვეთა [illegible]